# ლელო

№173
(12 243)

25 ივლისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები ბულგარეთის ტურნირზე

## ეს უკვე გუნდია!

**საქართველო - მაკედონია 86:82**

16:24, 30:12, 13:23, 27:23

საქართველო: **ცინცაძე** (25 წთ, 10 ქ, 2 მ), **ა. ბორისა** (21 წთ, 1 ქ), **მ. მარკოიშვილი** (34 წთ, 9 ქ), **ნაცვლიშვილი** (33 წთ, 14 ქ, 6 მ), **ფაჩულია** (39 წთ, 39 ქ, 9 მ, 3 ჩ, 2 დ), **გამყრელიძე** (25 წთ, 6 ქ, 6 ჩ, 5 მ, 3 პ, 1 დ), **ტულუში** (18 წთ, 7 ქ, 3 მ), **უგრეხელიძე** (7 წთ)

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა, ბულგარეთში მიმდინარე "ვივატელის თასის" გათამაშებაზე, გუშინ მეორე მატჩი გამართა. თუკი პირველ დღეს, მგზავრობით დაღლილმა და ბოლო ოცი წუთის განმავლობაში **ზაზა ფაჩულიას** გარეშე მოთამაშე ჩვენმა გუნდმა სასტიკი მარცხი განიცადა, გუშინ ბულგარელებზე არანაკლებ ძლიერი (თუ უფრო ძლიერი არა), ელიტის ბინადარი მაკედონია დაამარცხა...

მაკედონიელებთან რა ანგარიშებიც გვაქვს გასასწორებელი, ალბათ კარგად გახსოვთ. ეჰ, **დრაჟენ ბრაიკოვიჩს** რა ვუთხარი, თორემ საცოდაობა არაა, რომ ახლა მაკედონია ელიტაშია, ჩვენ კი ისევ B ჯგუფში? რაც ეს გუნდი ევროგრანდებში გაერია, უკვე მეორედ გადავეყარეთ საერთაშორისო ტურნირებზე და მეორეჯერ მოვუგეთ...

გუშინ დანანებით აღვნიშნეთ, რომ ზაზა ფაჩულია ჩვენი გუნდისთვის უზარმაზარი ძალაა და ბულგარელებთან მისი მოედნიდან გასვლის შემდეგ წავაგეთ. მაკედონიასთან კი იგი 39 წუთი გაისარჯა და 39 ქულით, ლომის წილი დაიდო გამარჯვებაში. ფაჩულიამ 19-დან 14 ორქულიანი და 13-დან 11 ჯარიმა ჩააგდო...

პირველი მეოთხედი მაკედონიელებისა იყო, მეორე ათწუთეულში კი, რვაქულიანი ჩამორჩენა ათქულიან ფორად ვაქციეთ. მართალია, მესამე პერიოდში, ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ დასკვნით მეოთხედს, ქართველი კალათბურთელები უფრო მობილიზებულები შეხვდნენ და 86:82 მოიგეს.

წინა მატჩის მსგავსად, ნაკრების თავკაცმა **კენ შილდსმა**, სასტარტო ხუთეულში დააყენა ცინცაძე, ანატოლი ბორისა, ნაცვლიშვილი, მანუჩარ მარკოიშვილი და ფაჩულია. არ უთამაშიათ **გიორგი მარკოიშვილს, ბაბიაშვილს, შერმადინსა** და **ლეჟავას**.

დღეს, ტურნირის ბოლო მატჩს ვატარებთ აუტსაიდერ დანიასთან. შეხვედრა ჩვენი დროით 15 საათზე დაიწყება.

საქართველო-მაკედონიის თამაშს ბულგარეთში მცხოვრებ ქართველებთან ერთად, ესწრებოდა ამ ქვეყანაში ჩვენი ელჩი **თეიმურაზ შარაშენიძეც**. ქართული დელეგაცია მას დიდად ემადლიერება ყურადღებისთვის...

ნამატჩევს, კმაყოფილი იყო საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი **კენ შილდსი:** - დღეს გუნდი გაცილებით უფრო მობილიზებული იყო. რაც მთავარია, ზაზა ფაჩულიას ამჯერად, აღარ ჰქონია პერსონალური შენიშვნების ლიმიტის გადაჭარბების პრობლემა, ბოლომდე ითამაშა და კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რას ნიშნავს იგი ნაკრებისთვის. ფაჩულიას გარდა, ძალიან მომეწონა გამყრელიძის თამაში დაცვაში. ასევე გამოვარჩევდი კოტე ტულუშს, რომელსაც ბევრი არ უთამაშია, მაგრამ საკვანძო მომენტებში, ფრიად საჭირო ქულები ჩააგდო. თვალშისაცემი იყო, რომ აღარ გვქონდა მოედანზე გადაადგილების პრობლემა. ბულგარეთთან შეხვედრაში, მგზავრობით გადაღლილები ვიყავით და მეორე ტაიმში, ფიზიკურად ძალიან გაგვიჭირდა. მოკლედ, საერთო ჯამში, დღეს გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება დანიასთან მატჩს, ჯერ არ გადამიწყვეტია, ყველას თანაბრად გავუნაწილებ სათამაშო დროს, თუ დღევანდელივით რამდენიმე კალათბურთელს დავასვენებ და შედეგზე ვითამაშებთ.

ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ოლიმპი აზიურად დააწვრილეს



ხვიჩა ქასრაშვილი და ვარლამ კილასონია ასტანამ გააოგნა

**ასტანა 3**
**ოლიმპი 0**

დავით თავართქილაძე

რუსთავის "ოლიმპი" საქართველოს ყველაზე უცნაური ჩემპიონია. რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ გუშინ 0:3 წააგო "ასტანასთან", ყაზახეთის ჩემპიონატში ახლა მე-9 ადგილი რომ უკავია. ასეთი და ამაზე დიდი ანგარიშით ევროსარბიელზე მანამდეც არაერთხელ წაუგიათ ქართულ გუნდებს, თუმცა შუააზიელებთან არასდროს. უცნაური ჩემპიონის სვლაგეზი მყისვე მაშინ დამთავრდა, როგორც კი ევროტურნირს შეეჭიდა, სადაც ქართული უცნაურობებით ვერაფერს მიაღწევ.

თენგიზის საბადო, ბუნებრივი გაზი, ოქრო, ალმასი, ურანი, ქრომი, ხორბალი, ბამბა - ყაზახეთის რესურსები უკიდეგანოა და ამ ვეება სახელმწიფომ, რომლის ტერიტორია აღმოსავლეთ ევროპაზე დიდია (თუ არ ჩავთვლით საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს), მოახერხა და უეფას წევრი გახდა, სადაც საქართველოს ჩემპიონი ისე აბურთავა...

3

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი

## პირველი ბრინჯაო, საჩუქარი დაბადების დღეზე



კახა ბერიძე
ბელგრადიდან

ისე ხდება, რომ ჩვენი დღევანდელი ბელგრადული რეპორტაჟიც ამინდზე წერით უნდა დავიწყო. პროგნოზები წვიმის თაობაზე არ გამართლდა, პირიქით, აქაური ხვატი უკვე აუტანელი ხდება, რაც სპორტსმენთა განწყობაზე უარყოფითად აისახება. *"სიცხეს ყოველთვის ვიტანდი, მაგრამ რაც აქ ხდება გაუსაძლისია. იმ სახეობებს, რომლებსაც დარბაზებში უნევთ ასპარეზობა კიდევ უფრო უჭირთ, მაგრამ მძლეოსნები და ჩოგბურთელები ნამდვილად მეცოდებიან"*. - მეუბნება სიცხისგან გათანგული **ნონა გაფრინდაშვილი**. სხვათა შორის, მისი ნათქვამი ახდა და გუშინ (ანუ დღეს) ჩოგბურთელთა ტურნირზე ბელგიელთა შერეული წყვილი შუა შეხვედრიდან მოიხსნა. ისეთი სიტუაციაა, ღია ცის ქვეშ გასვლას კაცი მტერსაც კი არ უსურვებს. სამშაბათს ჰაერის ტემპერატურამ პიკს მიაღწია - 44 გრადუსი.

რადგან ქალბატონი ნონა ვახსენეთ, აქვე ერთ სასიამოვნო მოვლენაზეც ვთქვათ. გუშინ სასტუმრო "კონტინენტალში" სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** სპეციალური საჩუქარი - ცნობილი ქართველი სკულპტორის **გია ჯაფარიძის** ნამუშევარი გადასცა წარსულში გამოჩენილ მოჭადრაკეს, ამჟამად ცნობილ ჟურნალისტს, სერბეთში ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას **მილუნკა ლაზარევიჩს**. *"ნონა გაფრინდაშვილი ჩემი უახლოესი მეგობარია. საქართველო ბედნიერი ერია მსოფლიოში ცნობილი და პატივცემული ასეთი პიროვნება რომ ჰყავს. როცა ნონას ვხვდები სიხარულის ცრემლები მომდის, რადგან ქვეყანაზე მისნაირი ადამიანები რომ არსებობენ. დიდი მადლობა სეოკ-ს ჩემი გახსენებისა და დაფასებისთვის"*, - მითხრა მილუნკა ლაზარევიჩმა.



ოთარ კაიდარაშვილი (მარცხნიდან მეორე)

ავტორის ფოტო

არ ვიცი, სიცხისა თუ სხვა გარემოებების გამო, ჯერჯერობით არ გვიმართლებს "სპორტის დედოფალში". მართალია, ილუზიებით არ ვცოცხლობთ და ჩვენი მძლეოსნების მხრიდანაც ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არ ველით, მაგრამ უკვე გამართული რამდენიმე დისციპლინიდან რა დაგიმალოთ და უფრო მეტს ველოდით. საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა მხოლოდ **ენდრიკ ზილბერშტეინმა** მოახერხა (400 მ. გარბენი). იმედი გვქონდა **სალომე რიგიშვილისაც** (ბადროს ტყორცნა). მით უფრო, რომ ჩვენი სპეციალისტები ამ დისციპლინას მის კოზირად თვლიან. სალომემ ბადრო 39.51 მეტრზე სტყორცნა, რაც კვალიფიკაციის დასაძლევად საკმარისი არ აღმოჩნდა - საბოლოოდ 13 ადგილი. **გიგლა ზილბერშტეინმა** (1500 მ. გარბენი) მანძილის დაფარვას 4.07.73 დრო მოანდომა და საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვამდე სულ ერთი წამი დააკლდა. სამწუხაროდ, თავი ვერც **გაიანე უსტიანმა** (400 მ. გარბენი) და **ლიკა დვალიშვილმა** (სიმაღლეზე ხტომა) გამოიჩინეს.

მძლეოსნობაში ჩვენი მთავარი იმედი **გიორგი ბედოშვილია**, რომელიც გახსნის ცერემონიალზე საქართველოს გუნდის მედროშე იყო. იგი ოთხშაბათს, ბადროს ტყორცნაში ცდის ბედს. რაც შეეხება სპორტულ ტანვარჯიშს, ველოსპორტსა და მაგიდის ჩოგბურთს მათი დებიუტი წარუმატებელი გამოდგა.

მეორე დღე წარმატებული გამოდგა ჩვენი ჩოგბურთელებისთვის. **ეკა გორგოძემ** ბელარუს **პალინა პეკავასთან** შეხვედრაში პირველი სეტი ადვილად 6:2 მოიგო, მეორეშიც 3:0 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ყურადღება მოადუნა და მოწინააღმდეგეს 5:4 დაწინაურების საშუალება მისცა. აკი უთხრა კიდევაც თამაშის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილმა - რას დაგვაწყვიტე ნერვებიო. საბოლოოდ, ეკამ 7:6 გაიმარჯვა და დღეს იტალიელ **ვალენტინა კოლპანორისთან** მოუწევს საქმის დაჭერა. შერეულ წყვილთა გორგოძე და **გიორგი ხმიადაშვილი** ლატვიელ მეტოქეებს ადვილად 6:2, 7:6 გაუსწორდნენ და პოლონელებს ელიან.

ძიუდოისტი გოგონათა შორის **გულნაზ თინიკაშვილმა** და **ნათია როსტომაშვილმა** შესაბამისად ჰოლანდიელ და გერმანელ მეტოქეებთან წააგეს.

ტკბილი ლუკმა ბოლოსთვის შემოვინახეთ. *"კაიდარ, დღეს ჩემი ბიჭის დაბადების დღეა და მედალზე უკეთეს საჩუქარს ვერ გამიკეთებ, იცოდე, არ დამალალატო"*, - უთხრა ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა **ზურაბ კახაბრიშვილმა ოთარ კაიდარაშვილს** (50 კგ). ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის წინ. მანამდე კი იყო ოთხი ბრწყინვალედ მოგებული ბრძოლა მაკედონიელ, სლოვაკ, ესტონელ, თურქ ძიუდოისტებთან და ნახევარფინალში დასანანი მარცხი ებრაელ არტიომ აშანსკისთან, ბოლოს კი ბრინჯაოს მედლისთვის მოგებული ორთაბრძოლა რუმინელ ამადო ლაზესთან. 42 კგ კატეგორიაში **გიორგი რატიანმა** ჯერ აზერბაიჯანელ, შემდეგ კი ჩეხ ძიუდოისტებთან დაყარა ფარ-ხმალი.

მაშ ასე, ყინული დაიძრა - ქართულ ყულაბაში უკვე ერთი ბრინჯაოს მედალია, დღეს კი (ანუ ხვალ) თავი ევროპის ჩემპიონმა ახალგაზრდებში **ზებედა რეხვიაშვილმა** (66 კგ) და **ზვიად კაპანაძემ** (60 კგ) უნდა ისახელონ.

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფლიგა

# კლუბებს ფულს დღეს დაუთვლიან

სამონაწილეო თანხა 20 000 ლარი და ფინანსური გარანტიები საიმისოდ, რომ გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება ელემენტარული პირობებით - ასეთი მოთხოვნა წაუყენა პროფესიული ფეხბურთის ლიგამ კლუბებს მე-19 ეროვნული ჩემპიონატისთვის. პროფლიგის მიერ დათქმული ვადა დღეს იწურება და გაირკვევა, ვინ ითამაშებს დამდეგი ჩემპიონატის უმაღლეს თუ პირველ ლიგაში.

დღეს ბოლო ვადა კი არის, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში ამა თუ იმ კლუბის დაშვების პროცედურა ამით არ დასრულდება. დღეს ან ხვალ პროფლიგის გამგეობის სხდომა გაიმართება და ვერდიქტსაც იქ გამოიტანენ. გამგეობა ხუთი წევრისგან შედგება - პროფლიგის პრეზიდენტი **დიმიტრი რამიშვილი**, "ამერის" პრეზიდენტი **ზურაბ ფოცხვერია**, "ვიტ ჯორჯიას" გენდირექტორი **მალხაზ კაკაურიძე**, "ლოკომოტივის" პრეზიდენტი **ლექსო თოფურია** და "დინამო თბილისის" აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი ტყავაძე**.

პროფლიგის გამგეობის გადაწყვეტილებას კი 27 ივლისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა მოჰყვება, რომელზეც აბსოლუტურად ყველაფერი გაირკვევა და დადგინდება, მათ შორის ისიც, ითამაშებს თუ არა პატრიოტულ-პოლიტიკური პრინციპით "ცხინვალი" უმაღლეს ლიგაში, თუმცა ეს ალბათ უკვე ფორმალობაა - გაუთვალისწინებელი უნდა მოხდეს, "ცხინვალი" უმაღლესი ლიგის მიღმა რომ დარჩეს.

**დავით თავართქილაძე**



ერიკ რომეო ჩასემი (მარჯვნივ)

სიონი

# ჩასემი ნაკრებში გამოიძახეს

გუშინ ბოლნისის "სიონის" თავდამსხმელი **ერიკ რომეო ჩასემი**, კამერუნის 23-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს. ამ გუნდს ცოტა ხანში აფრიკის თასზე მოუწევს ასპარეზობა და მწვრთნელსაც ჩასემის ეიმედება.

"სიონი" ამჟამად ურეკშია, სადაც ახალი სეზონისთვი ემზადება. კლუბის გენერალური მდივნის **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, **ნოდარ აკობიას** გუნდში ნამატია. ბოლნისელებმა ფორვარდი **ზვიად ქუთათელაძე** დაიმატეს. შეგახსენებთ, რომ ეს თავდამსხმელი ადრე ფოთის "კოლხეთსა" და ქუთაისის "ტორპედოში" ასპარეზობდა.

დაბოლოს, დღეს "სიონი" მორიგ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. ბოლნისელები ურეკში დედაქალაქურ "მერანს" დაუპირისპირდებიან.

**დავით ცაბაძე**

ბათუმი

# ნერგაძე და ბაბუნაშვილი ზღვისპირეთში

ახალი სეზონისთვის "ბათუმი" მშობლიურ ქალაქში ვარჯიშობს. ბათუმელები შიდა ტრანსფერებშიც აქტიურობენ და ამის დასტურად რამდენიმე ფეხბურთელის დამატება და გუნდის გაძლიერების მიზნით სხვა გამორჩეულ მოთამაშეებზე მიმდინარე მოლაპარაკებებია. ჩვენი ინფორმაციით, ნახევარმცველ **გიორგი ნერგაძე** "ბათუმს" დაუბრუნდა. ზღვისპირეთს მიაშურა, ასევე თბილისის "დინამოსთან" კონტრაქტით დაკავშირებულმა **შოთა ბაბუნაშვილმაც**. უფრო მეტიც, შესაძლოა **ამირან გოგიტიძის** გუნდში ვიხილოთ მცველი **უჩა ლობჟანიძე**. ისევე, როგორც ფორვარდი **ბორის გონჩაროვი**. ეს ცნობა გუშინ "ბათუმის" მთავარმა მწვრთნელმაც დაგვიდასტურა.

*"დიახ, გიორგი ნერგაძე ისევ ჩვენთან ვარჯიშობს. ჩვენთანაა გიორგი თურმანიძეც. ბათუმში დღეს ჩამოვიდა შოთა ბაბუნაშვილი და იმედი მაქვს კონტრაქტის პირობებზეც შევთანხმდებით.*

*თბილისის "დინამოდან" კიდევ გვინდა ფეხბურთელების დამატება და მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ უჩა ლობჟანიძესა და ბორის გონჩაროვზე. "დინამო" ევროტურნირებზე ასპარეზობს და თავადაც სჭირდება ფეხბურთელები. ასე რომ გონჩაროვისა და ლობჟანიძის თაობაზე გადაჭრით ჯერ კიდევ ძნელია რაიმეს თქმა"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა ამირან გოგიტიძემ.

**დავით ცაბაძე**



გიორგი სომხიშვილი



მამუკა რუსია

დებიუტანტი

# მესხეთი კბილებს ილესავს

**უმაღლესი ლიგის დებიუტანტი, ახალციხის "მესხეთი" ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. დებიუტანტის კვალობაზე, მოსამზადებელ პერიოდში ახალციხელთა გუნდი კარგად რომ გამოიყურება, ამაში ყველა დაგვეთანხმება. ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ მესხებს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავთ. მათ შორის არიან გამორჩეული მეკარე გიორგი სომხიშვილი და თავდამსხმელი მამუკა რუსია.**

**გუნდის ლიდერებს "ამერთან" საკონტროლო მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ.**

### გიორგი სომხიშვილი: აზერბაიჯანს მესხეთი ვამჯობინე

- საკმაოდ შეკრული და მეგობრული გუნდი გვყავს. ფიზიკურად კარგად გამოვიყურებით, მაგრამ შეთამაშება ჯერ კიდევ გვაკლია. ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილ პერიოდს მაქსიმალურად გამოვიყენებთ და სეზონს მომზადებულები შევხვდებით.

**- "ამერთან" ამხანაგურ მატჩში დიდი გარჯა მოგიწია...**

- სხვა რა გზა მაქვს. ჩემი საქმე ეგაა. როცა საჭიროა, მეკარემ გუნდი მარცხისგანაც უნდა იხსნას.

**- საკუთარი თამაშითა და მომზადების დონით კმაყოფილი ხარ?**

- ურიგოდ არ გამოვიყურები, მაგრამ, ვერ ვიტყოდი, რომ ოპტიმალურ ფორმაში ვარ. ბუნებით მაქსიმალისტი ვარ... ვგრძნობ, რომ უკეთაც შემიძლია თამაში და ჩვეულ ფორმაშიც მალე ვიქნები.

**- "ამერთან" თქვენი გუნდის თამაში ვინც ნახა, ყველამ ერთხმად აღნიშნა, "მესხეთი" დებიუტანტია, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ბევრ გუნდს გაამწარებსო...**

- ბევრს გავამწარებთ კი არა, არავის არაფერს დავუთმობთ. ყველა შეხვედრაში ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვფიქრობ, შედეგებიც კარგი გვექნება.

**- მოსამზადებელ პერიოდში ჯერ არ წაგიგიათ...**

- დიახ, ამხანაგური მატჩებიდან სამი მოვიგეთ, "ამერთან" კი ფრედ ვითამაშეთ. ასე რომ, "მესხეთი" დებიუტანტია, მაგრამ კბილებს ილესავს...

**- მეორე მეკარე ვინაა?**

- გელა ძამუნაშვილი. საკმაოდ პერსპექტიული მეკარეა. საერთოდ, კონკურენცია გუნდის სიძლიერეს განაპირობებს და ამ ხრივ არც ჩვენი გუნდია გამონაკლისი. ჩვენთან ყველა სათამაშო რგოლშია კონკურენცია და ყველა შეხვედრაში მას მოუწევს თამაში, რომელიც იმ კონკრეტული მომენტისთვის უკეთ იქნება მზად.

**- "მესხეთს" ამ რამდენიმე კვირის წინათ შეუერთდი. ვიცი, რომ სხვა ვარიანტიც გქონდა...**

- კი, ერთ-ერთი აზერბაიჯანული გუნდის ვარიანტი შემომთავაზეს, მაგრამ არჩევანი "მესხეთზე" გავაკეთე. 26 წლის ვარ და ვფიქრობ, ჯერ ნაადრევია ფინანსური პირობების გამო აზერბაიჯანში გადაბარგება. ჯერ კიდევ შემიძლია საქართველოში ვითამაშო. თუ ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებასაც დავიმსახურებ, ამას რა აჯობებს.

### მამუკა რუსია: წლევანდელი გუნდი შარშანდელზე უკეთესია

- ჯერ მხოლოდ სანახევროდ ვართ მომზადებულები და "მესხეთი" ახლა მხოლოდ შესაძლებლობის 50 პროცენტს აჩვენებს. წინ კიდევ ორი კვირაა და ამ პერიოდსაც გამოვიყენებთ.

**- გასულ სეზონშიც "მესხეთში" თამაშობდი. ზაფხულის პაუზისას გუნდს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაემატა. სხვაობას თუ ატყობ?**

- რა თქმა უნდა. ახლა უკეთესი გუნდი გვყავს, ვიდრე გასულ სეზონში. სხვაობა აშკარაა. უფრო მეტიც, ამ კონტინგენტს უფრო მეტი შეუძლია და პოტენციალს გამოვავლენთ კიდეც.

**- როგორ ფიქრობ, რა აკლია ამ გუნდს?**

- ბურთთან გვინდა ვარჯიში და შეთამაშება. საკონტროლო მატჩების შედეგად უკეთ ავთამაშდებით და ჩემპიონატსაც მზადყოფნაში შევხვდებით.

**- ჩემპიონატში რა მიზნისთვის იბრძოლებთ?**

- ჩვენი პროგრამა მინიმუმი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. მაქსიმუმ ცხრილის შუაგულში მოხვედრისთვის ვიბრძოლებთ.

**- უფრო უკეთ რომელი სათამაშო რგოლი გამოიყურება?**

- ჩვენი გუნდი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე დაკომპლექტებული და ვფიქრობ, ნაადრევია გადაჭრით რაიმეს თქმა. ის კი აშკარაა, რომ ყველა რგოლში კონკურენციაა.

**- თავიდანვე სწრაფ ფეხბურთელად იყავი მიჩნეული. ამ კომპონენტში ასაკი ხელს ხომ არ გიშლის?**

- მუდმივად ვცდილობ ფორმაში ვიყო. ვფიქრობ, ცუდად არ გამოვიყურები. სისწრაფე რომ დავკარგო, მერე ჩემს თამაშს აზრი აღარ ექნება. წვრთნის შემდეგ ვრჩები და სისწრაფეზე დამატებით ვვარჯიშობ.

**- ახალ სეზონს "მგლებთან" და "ზესტაფონთან" საშინაო მატჩებით იწყებთ...**

- სეზონის სასტარტო მატჩები ყოველთვის რთულია. ვფიქრობ, ეს მატჩები ჩვენთვისაც ძნელი იქნება და მეტოქეებისთვისაც. "მგლები" გასულ სეზონში 3:0 დავამარცხეთ, მაგრამ ახლა უკეთესი გუნდი იქნება.

**- ბევრი ამბობს, "მესხეთი" სახლის გუნდი იქნებაო...**

- ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ისე კი, საშინაო მატჩებიც უნდა მოვიგოთ და გასვლითიც.

**- საინტერესოა, რას ფიქრობს გამოცდილი რუსია ახალგაზრდა თანაგუნდელებზე...**

- ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს. ვფიქრობ, ისინი იმედებს გაამართლებენ და თავიანთ შესაძლებლობებს სრულად წარმოაჩენენ.

**დავით ცაბაძე**

# დინამო ჟურნალისტებს დაემალა და სიმურგს დაუზავდა

**დინამო-სიმურგი 1:1**

1:0 აკირემი (44. შ. კაშია), 1:1 მაზიარი (61 ჰუსეინოვის პასით).

დინამო: ლორია (46. ოვონო), შ. კაშია (65. ფირცხალავა), გ. კაშია, კრშკო, დობეში (46. თომაშვილი), დილმელაშვილი (46. ხმალაძე), ფეიქრიშვილი, ოდიკაძე, მერებაშვილი, ხუციშვილი (46. კობახიძე), აკირემი (59. სპასოევიჩი).

სიმურგი: ზბარახი, სტაროსტიაკი, პოკლანსკი, მალიკინი, ტიმჩიშინი, მაზიარი, აბდაშევი, საიადოვი, გუსეინოვი, ვიჩკინი, მუსაევი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ბაგიევი, ალიევი, რაჯაბოვი, გამბაროვი, ნურიევი, მამედოვი, რახმანოვი, სულეიმანოვი, მალლაფერიძე.

გუშინ დილმის ბაზაზე "დინამო" საქართველოში მოსამზადებლად აზერბაიჯანულ "სიმურგს" ეთამაშა. სამწუხაროდ, გაუგებარი მიზეზების გამო, კლუბის "დინამოს" ხელმძღვანელობამ შეხვედრის ნახვის საშუალება არ მოგვცა. ამდენად, ვერაფერს გეტყვით, როგორ წარიმართა მატჩი.

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# ოლიმპი აზიურად დაანვრილეს

## ტყეპვა ახალი ბრენდით



რევაზ ჯიქია (მარჯვნივ) მსაჯმა გააგდო, ოლიმპი - ასტანამ

**ასტანა-ოლიმპი**

**3:0**

24.07. კოსტანაი.
4 000 მაყურებელი

1:0 კუჩმა (13), 2:0 ტლეხუგოვი (55), 3:0 ჟალმა (86)
ასტანა: ბოიჩენკო, კუმისბეკოვი, კუჩმა, ჟაკმაგამბეტოვი, ჩიჩულინ, გენჩევი, ბულატოვი, სერგიენკო (89. კუკეევი), კენჟისარიევი, სუჩკოვი, სუიუმაგამბეტოვი (46. ტლეხუგოვი)
სათადარიგოები: კუზნეცოვი, კოჩკაევი, აზოვკი, ალიევი
ოლიმპი: მერლანი, ჭიჭველიშვილი (52. დვალი), ორბელაძე, ნავალოვსკი, აკუსაგა, სილაგაძე, ქებაძე (66. კოშკაძე), კახელიშვილი (71. დვალიშვილი), გენაძე, ჟივკოვიჩი, ჯიქია
სათადარიგოები: ალავიძე, მახვილაძე
გაძევება: ჯიქია (60)

პირველი გვერდიდან

თვალები ყაზახურადაც რომ დავიწვრილოთ, მაინც კარგად ჩანს, "ოლიმპი" თავისი ზნითა და ავან-ჩავანით არ არის ის გუნდი, ევროფრონტზე ზეშემართებითაც რამეს რომ გამორჩეს.

შარშან ქართული გუნდები ევროტურნირებზე ისე გამოვიდნენ, დიდი ანგარიშით არავის წაუგია, წლეულს კი "ოლიმპმა" ის გააკეთა, რასაც მანამდე აკეთებდნენ ქართული გუნდები, თანაც ყაზახური ფეხბურთის ისტორია დაწერა - აქამდე ამ ქვეყნის გუნდს არასდროს გაელწია ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

არც ისეა საქმე, ყაზახურ გუნდებს იმდენი ფული ჰქონდეთ, მარტო ამით შეეძლოთ ქართული კლუბების ჩაყლაპვა. რამდენიმე წლის წინათ ყაზახეთში მართლაც დაიწყო საფეხბურთო კლუბების გამდიდრება. ალმათის "ქაირათს" წლიური ბიუჯეტი სულაც ათი მილიონი დოლარი ჰქონდა, მაგრამ ახლა სხვა დროა, ყაზახური გუნდების ბიუჯეტი ისეთი ვერ არის, კარგი მენეჯმენტითა და ტვინით ვერ მოერიო.

მაგრამ "ოლიმპი" უცნაური კლუბია. სახელდახელოდ შეიქმნა შარშან და ჯიქურ გაჩემპიონდა. **ოტო რეჰაგელმა** შეძლო, "კაიზერსლაუტერნი" ბუნდესლიგაში გადაიყვანა და ეგრევე სასალათე მოაგებინა, მაგრამ "ოლიმპის" ამბავი არ ჰგავს "ლაუტერნისას".

ოლიმპელებს ჯერ **გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის** ტანდემი წვრთნიდა. კლუბს არ გააჩნდა ჩამოყალიბებული პოლიტიკა არა მხოლოდ იმის გამო, რომ უცბად გადაწყდა მისი შექმნა - გუნდის დამფუძნებელ-მესვეურები სხვადასხვა გაქანებისა და ტიპაჟის ხალხია და გუნდს უკვე სამჯერ გამოუცვალეს მწვრთნელი.

საჩემპიონო სეზონის წინ "ოლიმპს" ნორმალური შეკრება არ ჰქონია. კიკნაძე-ზამთარაძემ პირველი წრე პირველი ადგილით ჩაამთავრებინეს გუნდს და მაინც მოუწიათ "ოლიმპიდან" წასვლა. "ოლიმპს" ნორმალური ეკიპირებაც არ ჰქონდა და აკი წამოიძახა კიდეც არბიტრმა **ლაშა სილაგავამ**, გუნდის ერთ მწვრთნელს "შალკეს" ფორმა აცვია, მეორეს "ფრაიბურგისო"...

პირველი წრის შემდეგ "ოლიმპის" გაწვრთნას **რევაზ ძოძუაშვილი** შეუდგა. გუნდი რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერდა, მაგრამ მოსამზადებელი პირობები ვერ გამოიკეთა. "ოლიმპის" კონკურენტები ანთალიის მზეს ეფიცხებოდნენ, ძოძუაშვილის გუნდი კი თბილისში ხელოვნურსაფარიან მოედანს ვერ გასცდა. ძოძუაშვილი მაინც გააჩემპიონებს გუნდს - მეტალი ხმით ირწმუნებოდა ის ხალხი, ქართული ფეხბურთის თხემი და ტერფი კარგად რომ იცის და ასეც მოხდა. თუმცა უკვე ჩემპიონობამდე "ოლიმპში" დაწყებული იყო კონფლიქტები, უკვე ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე ფაქტობრივად გარკვეული იყო, რომ ძოძუაშვილი "ოლიმპში" აღარ დარჩებოდა.

"ოლიმპს" კონკურენტებზე ნაკლები ფული ჰქონდა. წინასამატჩო შეკრებაზე გუნდი დიდუბის სპორტულ მანეჟში ცხოვრობდა, მაგრამ ფეხბურთელებს მაინც რჩებოდათ ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ენერგია, რიგიანად ეგორებინათ ბურთი. მეორე წრეში "ოლიმპმა" არც ერთ კონკურენტ გუნდთან არ წააგო, დაცვით ტაქტიკას ირჩევდა მათთან და როცა "ზესტაფონს", "ამერსა" თუ "დინამოს" 8-9 მცველით ეთამაშები, ევროასპარეზზე დიდი შანსი არ უნდა გქონდეს.

საამსეზონოდ კლუბმა რუსთავის სტადიონი მნიშვნელოვნად გამოაკეთა, მაგრამ უმთავრესი ვერ მოახერხა - გამოუცდელი მწვრთნელი მიუჩინა გუნდს, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ვერ შეინარჩუნა და თითქოს "ოლიმპს" თანდათან კიდევ უფრო დიდი ბზარები გაუჩნდა.

კარგია, რომ "ოლიმპი" ფეხბურთელების ექსპორტიორი გუნდი გამოდგა - **გიორგი ონიანი** და **გიორგი სეთურიძე** მეორე ბუნდესლიგაში მოხვდნენ. "ოლიმპს" კიდევ ჰყავს სატრანსფეროდ ერთი-ორი საინტერესო ფეხბურთელი და ამ მხრივ ალბათ, წარმატებითაც იმუშავებს.

მანამდე კი კიდევ ერთი ტყეპვა უნდა მოინელოს ქართულმა ფეხბურთმა, ოღონდ ახალი ბრენდით - Made in Kazakhstan.

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# ტალანტები გვყავს, ახლა გუნდი გვინდა

## ულვაშა ხორვატი ცვლილებებს გვპირდება



საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ევროშესარჩევი ესპანეთთან მატჩით დაიწყო. **პეტარ სეგრტის** გუნდი 0:1 დამარცხდა ძალიან ძლიერ მეტოქესთან. მომდევნო შეხვედრა ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს 22 აგვისტოს აქვს სტუმრად პოლონეთთან და თქმა არ უნდა, ამჯერადაც ძალიან რთული მატჩი ელის. ევროშესარჩევში საქართველოს ოცდაერთწლამდელების მეტოქეები ესპანეთის და პოლონეთის გარდა, რუსეთი და ყაზახეთი არიან.

**კლაუს ტოპმიოლერის** მიერ რეკომენდებული ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ხორვატი თავკაცი საქართველოშია და ნაკრების კანდიდატებს აკვირდება. სეგრტი გუშინწინდელ "ამერი"-"მესხეთის" საკონტროლო მატჩსაც დაესწრო და ინტერვიუსთვისაც იქ მოვიხელთეთ.

- პოლონეთი რომ ძალიან კარგი გუნდია, ამაზე ბევრი ლაპარაკი არც ღირს. მეტოქეზე სრული ინფორმაცია გვაქვს. ბუნდესლიგაში მოთამაშე ყოფილ ფეხბურთელს, ჩემს მეგობარ ტომაშ ჰაიტოსაც ვესაუბრე პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებზე, გუნდის საერთო სიტუაცია გამოვკითხე. მან დადებითად დაახასიათა ეს ნაკრები. პოლონელები ძირითადად 4-2-2 სქემით თამაშობენ. ვფიქრობ, 22 აგვისტოს საინტერესო მატჩი იქნება.

**- და რას უნდა ველოდოთ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებისგან პოლონეთთან?**

- ჩვენ ახლადშექმნილი გუნდი გვყავს და სათამაშო ფილოსოფიას ვაყალიბებთ. ეს ნაკრები უკვე ახლოსაა იმ კონდიციასთან, რომ კარგი შედეგისთვის იბრძოლოს. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ წინსვლა აქვთ ჩვენს ფეხბურთელებს - მერებაშვილი, კობახიძე, ნავალოვსკი...

**- ესპანეთთან მატჩის შემდეგ გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება? ესპანელებთან უფრო დაცვითი ფეხბურთი ითამაშეთ, ვიდრე შემტევი...**

- რა თქმა უნდა, ცვლილებები იქნება. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ესპანეთს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდული ნაკრები ჰყავს. იმ მატჩში ჩვენ ბევრი პრობლემა გვქონდა, მაგალითად, ტრავმებმა არაერთი მოთამაშე გამოგვაკლო. სხვათა გარდა, ტრავმირებული იყო ფორვარდი ბესიკ ჩიმაკაძე. ის არ თამაშობს რეგულარულად "ამერის" ძირითადში, მაგრამ საკმაოდ საინტერესო და ნაკრებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.

**- 22 აგვისტოს საქართველოს ეროვნული გუნდი ლუქსემბურგს ეთამაშება. თუ არის გარკვეული, ჯაბა კანკავა და მათე ღვინიანიძე იმ დღეს პირველ ნაკრებში ითამაშებენ თუ ახალგაზრდულში?**

- ვნახოთ, ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

**- ტოპმიოლერმა ივნისში ლიტვასა და საფრანგეთთან მატჩისთვის 19-წლამდელთა ფორვარდი ლევან მჭედლიძე მიიწვია, რომელმაც ამ შეხვედრებში ტრავმის გამო ვერ ითამაშა. თქვენ თუ აპირებთ მის აყვანას ახალგაზრდულ ნაკრებში?**

- ის ძალიან კარგი ფეხბურთელია და ფორვარდისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს - სიჩქარე, ხასიათი, ტექნიკა, კონცენტრაცია, თავდამსხმელისთვის საჭირო ინსტიქტი. გარდა ინდივიდუალური თვისებებისა, ის გუნდური მოთამაშეცაა. ცაცია ფორვარდი დიდი ტალანტია, რომელიც ყოველ ვარჯიშზეც ასი პროცენტით იხარჯება. საქართველოს კიდევ ჰყავს ნიჭიერი ფეხბურთელები - წინამძღვრიშვილი, ბენაშვილი, კახელიშვილი, ლორია, ლობჟანიძე... მათთვის ახლა აუცილებელია, რომ თავიანთ კლუბებში რეგულარული სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ. როცა ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები სისტემატურად არ თამაშობენ, ეს ძალიან გვირთულებს საქმეს.

**- თუ ხედავთ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებში ისეთ ფეხბურთელებს, ამ ეტაპზე რომ შეუძლიათ პირველი ნაკრებში თამაში?**

- ძალიან კარგი მცველია ლობჟანაძე, გამოვყოფდი ფოფხაძეს, კიდევ კობახიძეს, მერებაშვილს და ნავალოვსკის - ვფიქრობ, ეს ხუთი ფეხბურთელი უკვე მზადაა, პირველ ნაკრებშიც მოსინჯოს ძალა. დიდ პერსპექტივას ვხედავ სანაიაშიც, მაგრამ ის არ თამაშობს "ზესტაფონის" ძირითადში. ძალიან ნიჭიერი მეკარეა დინამოელი მაკარიძე. საერთოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მზარდი გუნდია. ესპანეთთან წავაგეთ, მაგრამ ჩვენს ასეთ თამაშს არც ესპანეთი ელოდა და, არც ჩვენი მომავალი მეტოქე პოლონეთი, რომლის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ მატჩს.

**- დაახლოებით რამდენი ქულის აღებას ვარაუდობთ შესარჩევ ციკლში?**

- ვერ გეტყვით, ახლა მხოლოდ მომავალ თამაშზე ვფიქრობ. შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, პირველი ნაკრებისთვის მოვამზადოთ ფეხბურთელები - ქართული ფეხბურთს კარგი მომავალი სჭირდება. ახალგაზრდებთან მუშაობაში განსაკუთრებული სიფრთხილეცაა საჭირო. მაგალითად, ბევრმა იკითხა, თუ რატომ არ ვათამაშე ყენია ესპანეთთან სასტარტოში. ის გადაღლილი იყო და ამიტომ შემოვიყვანეთ მეორე ტაიმის ბოლოს. ყენიაც ძალიან ნიჭიერია. ერთი სიტყვით, ჩვენ უკვე გვყავს ტალანტები, ახლა გუნდი გვინდა.

**დავით თავართქილაძე**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰერბერტ ცანკერი

მგლები

# ზუგდიდელები ოლიმპიდან ძლიერდებიან

ზუგდიდის "მგლები" ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ იქნება, აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ. **ბესიკ შეროზიას** შეგირდებმა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს, სადაც გამოჩნდა, რომ უმაღლეს ლიგაში ზუგდიდის გუნდი საჭრიჭინოდ არ დაბრუნებულა.

გუშინ "მგლების" მთავარ მწვრთნელს დავუკავშირდით და სეზონისწინა სამზადისზე ვესაუბრეთ.

*"მოსამზადებელი ეტაპი სამ ნაწილად გავყავით. პირველი ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ მუხურში გავიარეთ. შემდეგ თერთმეტი დღე ურეკში გავატარეთ. ეს ეტაპი ორი დღის წინათ დავასრულეთ. ჩემპიონატის დაწყებამდე მესამე მოსამზადებელ ნაწილს კი ზუგდიდში ჩავატარებთ. სხვათა შორის, ძალიან კმაყოფილი ვარ ურეკის შეკრებით, ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდა."*

"მგლებმა" მოსამზადებელ ეტაპზე რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. *"დღემდე ხუთი შეხვედრა გავმართეთ. მართალია, ეს იყო საკონტროლო მატჩები, მაგრამ შემადგენლობა შევათამაშეთ და რაც მთავარია, გუნდს უკეთესობა აშკარად დაეტყო. ზუგდიდში რუსთავის "ოლიმპს" ფრედ 0:0 ვეთამაშეთ. მერე ურეკში მასთან 1:2 კი დავმარცხდით, მაგრამ ამ წაგებულ თამაშში უფრო მომეწონა გუნდი, ვიდრე პირველში. შემდეგ შეხვედრებში გამოჩნდა, რომ საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი ყალიბდება. ურეკში ამის მეტი არც ერთი მატჩი აღარ წაგვიგია. "ზესტაფონთან" ფრედ 0:0 ვითამაშეთ, "მერანს" 3:2, ბოლოს კი "სიონს" 2:1 მოვუგეთ. საკონტროლო თამაშებს კიდევ ვგეგმავთ. თვის ბოლოს "ბათუმს" დავუპირისპირდებით ან ქუთაისის "ტორპედოს". ორივესთან მოლაპარაკება გვაქვს"*, - გვითხრა შეროზიამ.

"მგლებში" სოლიდური შევსებაა. ძნელი სათქმელია როგორ და რა მიზეზით შეელია რუსთავის "ოლიმპი" ნახევარმცველ **გელა ხუბუას**. ფაქტია, რომ ის ზუგდიდისთვის უდიდესი ძალა იქნება. ხუბუას გადასვლა შეროზიამ დაგვიდასტურა: *"გელა ჩვენთან ითამაშებს, რაც ძალიან მახარებს. ძლიერი მოთამაშეა და "მგლებს" უდაოდ გააძლიერებს. ის ერთი წლით "ოლიმპმა" გვათხოვა. მას გარდა ჩვენთანაა გიორგი ჭედია, "ტორპედოს" ყოფილი თავდამსხმელი, რომელიც ძალიან მომეწონა. ქუთაისიდან კიდევ გიორგი კრასოვსკი ჩამოვიყვანეთ, მცველი ნოდარ მაჭავარიანი და ზურაბ ექონია დავიმატეთ, დაგვიბრუნდა მეკარე მანუჩარ ივარდავა. ვფიქრობ, საკმაოდ გავძლიერდით."*

"მგლების" მთავარი მწვრთნელის თქმით, გუნდი ნორმალურად და დროულად ფინანსდება. სტადიონის მშენებლობა კი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. *"ჩვენ უკვე შეგვიძლია სტუმარი გუნდის ზუგდიდში მასპინძლობა. ერთ მხარეს სტადიონის ტრიბუნები გადაიხურა, ხვალიდან კი სკამების მონტაჟი დაიწყება. ჩემპიონატის დაწყებამდე 5000 სკამის დამონტაჟება მოესწრება. საერთო ჯამში, სტადიონი 18 ათას მაყურებელზე იქნება გათვლილი. ძალიან ლამაზი და კოხტა არენა გვექნება, სადაც ნებისმიერი რანგის მატჩის ჩატარება იქნება შესაძლებელი. მოედანსაც აკეთებენ და დარწმუნებული ვარ, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გაზონი გვექნება, გუნდის დიდი იმედიც გვაქვს. საკონტროლო მატჩებში გამოჩნდა, რომ "მგლები" არავისთვის იქნება ადვილი საკბილო"*, - აღნიშნა შეროზიამ.

**მერაბ მამულაშვილი**

17-წლამდელთა ნაკრები

# სარუსეთო თვრამეტეული

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ახალი შესარჩევი ციკლისთვის ემზადება. მზადების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია რუს თანატოლებთან გასამართი ამხანაგური მატჩები, რომელთა გამართვა ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიგეგმა. პირველი ორი მატჩი სტუმრად, 27 და 29 ივლისს გვიწევს. **ჰერბერტ ცანკერმა** რუსებთან მატჩებისთვის ნაკრებში 18 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: **გიორგი ნადირაძე, გიორგი გუჩაშვილი.**

მცველები: **ბაქარ მირცხულავა, ჯაბული იამანიძე, ბესიკ ამაშუკელი, გიორგი ქვარცხავა.**

ნახევარმცველები: **თემურ შარაშენიძე, ლევან ელიზბარაშვილი, მერაბ მამულაძე, ნიკა ძალამიძე, ჯანიკო ანანიძე, გოგა ქვარაია, გიორგი ჩელებაძე, ნიკა კვეკვესკირი.**

თავდამსხმელები: **ირაკლი შეყილაძე, გიორგი ვაშაკიძე, კონსტანტინე გაბაშვილი, ლევან კუხალეიშვილი.**

როგორც ხედავთ გამოძახებულთა შორის არაერთი ახალი გვარია. მათ შორის არიან **გიორგი ჩელებაძე** და **კონსტანტინე გაბაშვილი**. პირველი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, **რევაზ ჩელებაძის** ვაჟია, მეორე კი **კოტე გაბაშვილის** შვილიშვილი.

რაც შეეხება მეტოქეს, რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **იური სმოლიანიკოვმა** ნაკრებში შემდეგ კონტინგენტს უხმო.

მეკარეები: **სტანისლავ პლოხიხი (ცსკა), დანილ ლიამინი (მასტერ-სატურნი).**

მცველები: **ალექსეი ნიკიტინი (ცსკა), ტიმურ ბაიტემიროვი (ლოკომოტივი), ირაკლი ჭეჟია, არტიომ ტროშინი (ორივე სპარტაკი მ.), ალექსანდრ ვლასკინი, პაველ პაშინი (ორივე მასტერ-სატურნი).**

ნახევარმცველები: **ანტონ ხოდირევი, იგორ კირეევი (ორივე სპარტაკი მ.), დმიტრი ნიკიტინსკი, ემინ მახმუტოვი (ორივე მასტერ-სატურნი), ილია მირონოვი, სოსლან გატაგოვი (ორივე ლოკომოტივი), ალექსანდრ ბორტნიკი (ცსკა).**

თავდამსხმელები: **გეორგი ნუროვი (ლოკომოტივი), ვლადიმირ ობუხოვი, კარენ პეტროსიანცი (ორივე სპარტაკი მ.), ალექსეი ოსადჩუკი (შინიკი).**

ჭაბუკთა ნაკრებების მატჩები პარასკევს, 27 ივლისს სტადიონ "მოსკვიჩზე" 18 საათზე დაიწყება, ხოლო კვირას, 29 ივლისს ბოლნისის ცენტრალურ სტადიონზე, 17 საათზე.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სმოლიანიკოვის გუნდში "კრილია სოვეტოვის სოკ"-იდან არავინაა გამოძახებული, რადგან სამარელი ჭაბუკები ინგლისში, საერთაშორისო ტურნირზე არიან მიწვეულები.

დაბოლოს, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, რუსეთსა და საქართველოს 17-წლამდელთა ამხანაგური მატჩები თბილისში ნოემბრის დასაწყისში გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

# სეთურიძე გერმანიაში რჩება

მიუხედავად ტრავმისა, **გიორგი სეთურიძე** გერმანიაში დარჩება. იენის "კარლ ცაისის" მთავარი მწვრთნელი **ფრანკ ნოიბარტი** ქართველის იმედადაა. გიორგიმ გუნდთან პირადი კონტრაქტი გააფორმა, ჯერ ოფიციალურზე ხელი არ ჰქონია მოწერილი და, სწორედ ამ დროს, "მაგდებურგთან" მატჩში ჯვარედინი იოგები გაუწყდა. ამის მიუხედავად, ის დარჩება და კონტრაქტს გააფორმებს.

ეს ამბავი გუშინ **ილია კანდელაკმა** გვითხრა: *"გიორგი დარჩება და ოპერაციას გერმანიაში გაიკეთებს. ყველას ძალიან გვეწყინა მისი ამბავი, რადგან ძალიან კარგად გამოიყურებოდა და მწვრთნელი გაგიჟებულია. სეზონის დაწყებამდე დიდი დრო არ რჩება და ასეთ დროს სეთურიძის ტრავმამ დიდი საფიქრალი გაუჩინა. გიორგის ხომ უკვე ძირითადის ფეხბურთელად თვლიდა."*

ასევე, პირადი კონტრაქტი გააფორმა "კარლ ცაისთან" თავად კანდელაკმა, მაგრამ ჯერ ოფიციალურ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია. რა გახდა ამის მიზეზი, ილიასგან შეიტყობთ: *"დღემდე ოდესის "ჩერნომორეციდან" გათავისუფლების ფურცელს ველოდები. ხან შაბათ-კვირა იყო მიზეზი, როდესაც გერმანელთა ოფისში არავინ მუშაობს. მერე კი კურიოზული მიზეზით დაბრკოლდა ოდესელთა ფაქსი - "კარლ ცაისის" ოფისში ფაქსის აპარატი გაფუჭდა. თუმცა მთავარია, რომ "კარლ ცაისმა" სამწლიანი ხელშეკრულება შემომთავაზა და პირად კონტრაქტზეც შევთანხმდით. ყველაფერი მზადაა და მალე "კარლ ცაისში" ოფიციალურად ჩავირიცხები. ახლა ჩეხეთში ორი დღით წამოვედი და იენაში დაბრუნებისთანავე, წესით, ყველაფერი უნდა დამთავრდეს."*

სხვათა შორის, იენაში პირველად ქართველი 1994 წელს ჩაირიცხა - ნახევარმცველი **ზაზა დადუნაშვილი**. თუ გახსოვთ, ის თბილისის "ლოკომოტივში" **ლუის ცაკარიასს** ეხმარებოდა. ზაზა ახლა 40 წლისაა და თქვენ წარმოიდგინეთ, კიდევ თამაშობს - ობერლიგის "ნორდჰაუზენის" მოთამაშე-მწვრთნელია.

# რატომ არ დამითმეთ გიგიაძე!

ლუგანსკის "ზარიას" მთავარი მწვრთნელი **ალექსნადრ კისევიჩი** უკმაყოფილებას ვერ მალავს **ვასილ გიგიაძის** დამატება რომ ვერ მოახერხა.

*"ვილაცეებს არ სურს, გიგიაძემ "ზარიაში" რომ ითამაშოს. არადა, რომ დაგვემატებინა, დარწმუნებული იყავით, ის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდა"* - განუცხადა კოსევიჩმა უკრაინულ "სპორტ-ექსპრესს".

ისე, საკმაოდ უცნაური ფაქტია, რომ კრივოი როგის "კრივბასი" საკუთარ კაპიტანსა და უკრაინის ჩემპიონატის გამორჩეულ ბომბარდირს თმობს. ეს კიდევ დასაშვებია, მაგრამ გიგიაძე არ გაუშვეს არც ამბიციამომატებულ "ტავრიაში", "ზარიას" კი მის გამოსყიდვაზე მილიონნახევარი დოლარი მოსთხოვეს. საბოლოოდ კი კაპიკებში გაანათხოვრეს უმაღლესი ლიგის დებიუტანტ "ნეფტიანიკში".

**მერაბ მამულაშვილი**

გაგრა

# ფრანგული კლუბი ქართულს დაუძმობილდა

"გაგრა" და საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის "ლე მანი" ამიერიდან პარტნიორები არიან. წინასწარი შეთანხმება ადრეც არსებობდა, მაგრამ ოთხი დღის წინათ ეს ოფიციალურად გაფორმდა. ინფორმაცია "გაგრას" ვიცე-პრეზიდენტმა **გოდერძი ჩიხრაძემ** გაგვიმხილა: *"ჩვენი პრეზიდენტი ბესო ჩიხრაძე ოთხი დღის წინათ ჩავიდა საფრანგეთში და "ლე მანის" პრეზიდენტს შეხვდა. მათ შორის არსებული მოლაპარაკება ძალაში დარჩა და ფრანგებმა ხელშეკრულება გააფორმეს. ეს არის "გაგრას" განვითარებისთვის უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი, რადგან "ლე მანი" საფრანგეთში ტალანტების აღმზრდელ გუნდადაა ცნობილი. გასული სეზონი მეთორმეტე ადგილზე დაასრულა. მათთან პარტნიორობა ძალიან დაგვეხმარება. კონტრაქტის მიხედვით, ფრანგები ფინანსურადაც დაგვეხმარებიან და მწვრთნელებისა და მოთამაშეების სტაჟირებაშიც".*

ეს მართლაც გამორჩეული მოვლენაა თანამედროვე ფეხბურთიდან უზომოდ ჩამორჩენილი ქვეყნისთვის. საფრანგეთი მოდას არა მარტო მოდაში კარნახობს. გადახედეთ ევროპის წამყვანი კლუბები ამ ქვეყანაში გაზრდილებითაა სავსე. ფრანგების მიერ გაწვრთნა კი ჩვენს მწვრთნელებსაც სჭირდება და მოთამაშეებსაც, პარტნიორობა და ფული ხომ საერთოდ გადასარევია.

უფრო სწორად, მოვლენებს თავისი სახელი დავარქვათ - რეალურად "გაგრა" "ლე მანის" ფარმ-კლუბი გახდება. ამაში სამარცხვინო არაფერია. პირიქით, ნებისმიერი კლუბის პრეზიდენტი ასეთ ურთიერთობას ინატრებდა.

"გაგრა" კი ამჟამად აზერბაიჯანშია. პირველი შეხვედრა უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ დებიუტანტს 5:2 მოუგეს. თავი თავდამსხმელმა **მეტრეველმა** გამოიჩინა. მეორე მატჩი კი აზერბაიჯანის 19-წლამდელებთან ფრედ 1:1 ითამაშეს.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ახალი ტურნირი

# ამერიკაში სუპერლიგა შეიქმნა

## გახსნის მატჩში ბექჰემსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ...

მსოფლიო ფეხბურთის ისედაც გადატვირთულ კალენდარს, კიდევ ერთი ტურნირი შეემატა. ჩრდილოეთ ამერიკაში სუპერლიგა დაარსდა და იქ რვა გუნდი პირველობისთვის ბრძოლას დღეიდან დაიწყებს.

სუპერლიგის პრეზენტაცია გუშინ, ლოს ანჯელესში მოეწყო. ეს გახლავთ ამერიკის MLS-ისა (მეიჯორ ლიგ სოკერი) და მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი პროექტი, რომლის მიხედვითაც, ყოველ წელიწადს, აშშ-სა და მექსიკის 4-4 საუკეთესო კლუბი ახალ ლიგაში პირველობისთვის იბრძოლებს.

ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. როგორც გითხარით, ის დღეს დაიწყება, ხოლო ფინალური მატჩის გამართვა 29 აგვისტოს არის დანიშნული. გამარჯვებული გუნდი მილიონი დოლარის მფლობელი გახდება. გახსნის მატჩში ერთმანეთს **დევიდ ბექჰემის** "ლოს ანჯელეს გელაქსი" და "პაჩუკა" შეხვდებიან.

წლევანდელ სუპერლიგაში შემდეგი გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. ამერიკის მხრიდან - "ლოს ანჯელეს გელაქსი", "დალასი", "დი სი იუნაიტედი" და ჰიუსტონის "დინამო", მექსიკის მხრიდან - "გვადალახარა", "ამერიკა", "მორელია" და "პაჩუკა".

ბექჰემის ფაქტორის გათვალისწინებით, გახსნის მატჩისადმი ინტერესი საკმაოდ დიდია, მაგრამ სავარაუდოდ, ინგლისელი ფეხბურთელი "პაჩუკას" წინააღმდეგ სათამაშოდ ვერ გავა. როგორც ჟურნალისტებს კალიფორნიური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ფრენკ იალოპმა** განუცხადა, დევიდს კვლავაც ანუხებს ტრავმირებული ფეხი. *"ბექჰემს ბოლო დღეებში არ უვარჯიშია და არა მგონია, მან "პაჩუკას" წინააღმდეგ მოედანზე გასვლა შეძლოს"*, - ამბობს იალოპი.

შეგახსენებთ, რომ ინგლისელ ნახევარმცველს შაბათს ჰქონდა დებიუტი "ლოს ანჯელესის" რიგებში. "ჩელსისთან" ამხანაგურ მატჩში (0:1), ბექჰემი 77-ე წუთზე შევიდა მოედანზე, მაგრამ ფანებს თავი ვერაფრით დაამახსოვრა.




ამ თასის მოგებაში მილიონს იხდიან



ბექჰემები წვეულების წინ

ბომონდი

# ბექჰემმა ვარსკვლავთცვენა მოაწყო

## წითელი ხალიჩა, ლიმუზინები, პაპარაცები და გადარეული პუბლიკა

სანამ სუპერლიგის პრეზენტაცია შედგებოდა, **დევიდ ბექჰემმა** კვლავ მიიპყრო ამერიკული პუბლიკის ყურადღება. ბექჰემების ოჯახმა ამერიკაში გადაბარგების პომპეზურად აღნიშვნა გადაწყვიტა და ლოს ანჯელესის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გრანდიოზული მიღება მოაწყო.

საღამო ჰოლივუდის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით იყო ორგანიზებული - წითელი ხალიჩა, ლიმუზინები, პაპარაცები და უამრავი თაყვანისმცემლების წივილ-კივილი. მოკლედ, ამ შეკრების მიზეზი რომ არ გცოდნოდა, ჰოლივუდის ვარსკვლავების სიმრავლის გამო, თავი ოსკარების დაჯილდოვების ცერემონიაზე გეგონებოდა.

დევიდ და **ვიქტორია** ბექჰემები პირველები გამოჩნდნენ წითელ ხალიჩაზე. მათ თან ახლდათ ოჯახის მეგობარი **ტომ კრუზი** და მისი მეუღლე **კეტი ჰოლმსი**. სხვათა შორის, კრუზი ამ დღისთვის სპეციალურად ჩაფრინდა ლოს ანჯელესში გერმანიიდან, სადაც ის გადაღებებზე იმყოფებოდა. ცნობილი მსახიობი მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილ ფილმში იღებს მონაწილეობას.

ამის შემდეგ გამოჩნდა რეპერი და მსახიობი **უილ სმიტი** მეუღლე **ჯარა პიკნეტ სმიტთან** ერთად. და ამ წყვილს ვარსკვლავების მთელი არმია მოჰყვა. აი მათი მცირე ჩამონათვალი: **ევა ლონგორია** (კალათბურთელ **ტონი პარკერის** გარეშე), **ბრუქ შილდსი** (მეუღლესთან, პროდიუსერ **კრის ჰენჩისთან** ერთად), **უესლი სნაიპსი, დემი მური, ეშტონ კატჩერი, ჯორჯ ქლუნი, ოფრა უინფრი, ბრუს უილისი, მეტიუ პერი, სტივი უანდერი, ჯონ ვოიტი** (ქალიშვილ **ანჯელინა ჯოლის** გარეშე), ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი**... სულ ბექჰემებს 600 სტუმარი ჰყავდათ დაპატიჟებული.

ბუნებრივია, დევიდს არ დავიწყებია ახალი თანაგუნდელები. აქ იყვნენ პორტუგალიელი **აბელ შავიერი**, ამერიკის ნაკრების ფორვარდი **ლენდონ დონოვანი, კელი გრეი** და სხვები.

საღამოს ფოტოები არსად დაბეჭდილა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბექჰემმა ყველა სტუმარს აუკრძალა თუნდაც მობილური ტელეფონებით სურათების გადაღება. ყველა მკაცრად იყო გაფრთხილებული - ვინც ფოტოაპარატს იხმარდა, დაცვა მას შენობიდან გააძევებდა.

აიაქსი

# სნეიდერი ამსტერდამ არენაზე დარჩა

"აიაქსის" წამყვანმა ნახევარმცველმა **უესლი სნეიდერმა** გადაწყვიტა, კიდევ ერთი სეზონი გაატაროს ამსტერდამულ კლუბში და შემდეგ წავიდეს უცხოეთში ბედის საძებნელად.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ სნეიდერით მადრიდის "რეალი" სერიოზულად იყო დაინტერესებული, გარდა ამისა, აქტიურობდნენ "ვალენსია" და "ფიორენტინა". მაგრამ, ჰოლანდიის ნაკრების ფლეიმეიქერმა "აიაქსში" დარჩენა ამჯობინა. ამ კლუბთან მას 2009 წლამდე აქვს კონტრაქტი.

*"ამ გუნდით ჩვენ უფრო მეტის მიღწევა შეგვიძლია. შევეცდებით, ამჯერად მაინც მოვიგოთ ჰოლანდიის ჩემპიონატი და რაც შეიძლება შორს გავაღწიოთ ჩემპიონთა ლიგაში"*, - აცხადებს სნეიდერი.

"აიაქსის" სპორტულმა დირექტორმა **მარტენ ფონტეინმა** კმაყოფილება გამოთქვა ფეხბურთელის ამ გადაწყვეტილების გამო: "ეს ყველასთვის კარგი ამბავია: უესლისთვის, კლუბისა და ჩვენი გულშემატკივრებისთვის. მაგრამ, პირველ რიგში, ეს ამბავი მნიშვნელოვანია იმ ამბიციებიდან გამომდინარე, რომელიც ამ სეზონში "აიაქსს" გააჩნია".



უესლი სნეიდერი

### მარსელმა ნაკრების მეკარე ითხოვა

საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **სტივ მანდანდა**, რომელიც "ჰავრის" კუთვნილება გახლავთ, ერთწლიანი არენდით "მარსელში" ითამაშებს.

ამ გარიგების პირობა ისეთია, რომ მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ, "მარსელი" 22 წლის გოლკიპერის კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებას მიიღებს.

### კანუ პორტსმუთს შეუთანხმდა

MIRROR SPORTS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, "პორტსმუთის" მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** განაცხადა, რომ მისმა გუნდმა შეათანხმა ვეტერან ნიგერიელთან, **ნვანკვო კანუსთან** ახალი კონტრაქტის დეტალები.

კანუსა და ინგლისურ კლუბს შორის მთავარი უთანხმოება კონტრაქტის ხანგრძლივობაში მდგომარეობდა. ფეხბურთელი ორწლიან ხელშეკრულებას ითხოვდა, ხოლო კლუბს ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურდა.

*"უკვე მოველაპარაკეთ კანუსა და მის აგენტს და დარწმუნებული ვარ, რომ კონტრაქტი სულ მალე გაფორმდება"*, - ამბობს რედნაპი.

გასულ სეზონში ნიგერიელმა ფორვარდმა ინგლისის ჩემპიონატში 36 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა.

### სანოგო ვერდერს მიუახლოვდა

გერმანული პრესის ცნობით, კოტ დ'ივუარის ნაკრების ფორვარდი **ბუბაქარ სანოგო** უახლოეს დღეებში "ჰამბურგიდან" "ვერდერში" გადავა. ტრანსფერის ღირებულება 6 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

აღსანიშნავია, რომ სანოგო "ჰამბურგში" გასული სეზონის წინ, "კაიზერსლაუტერნიდან" გადავიდა და მაშინ მისი საბაზრო ღირებულება 3.8 მილიონ ევროს შეადგენდა.

### პსჟ კამარას მერვე კლუბია

"სენტ ეტიენის" ცენტრალური მცველი **ზუმანა კამარა** "პარი სენ-ჟერმენში" გააგრძელებს კარიერას. პარიზელებს ამ ფეხბურთელის ტრანსფერი 6 მილიონი ევრო დაუჯდათ.

28 წლის კამარა, რომელიც ადრე "ინტერში", "ემპოლიში", "ბასტიაში", "მარსელში", "ლანსსა" და "ლიდსში" თამაშობდა, დღეს პსჟ-სთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

### ჰილდებრანდმა ჯერ არაფერი იცის

„შტუტგარტიდან" „ვალენსიაში" გადაბარგებული მეკარე **ტიმო ჰილდებრანდი**, რომელმაც ესპანურ კლუბს უფასოდ მიაშურა (VFB-სთან კონტრაქტი დაუმთავრდა), აცხადებს, რომ ჯერ არ იცის, რა როლი ექნება ახალ გუნდში. *„მთავარ მწვრთნელ კიკე სანჩეს ფლორესს პირველი მეკარე ჯერ არ დაუსახელებია და შესაბამისად, არ ვიცი, ვინ დაიცავს „ვალენსიის" კარს, მე თუ სანტიაგო კანისარესი. ისე კი, ამ უკანასკნელთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს,"* – აცხადებს ჰილდებრანდი. ტიმოს ერთადერთი პრობლემა ის გახლავთ, რომ მას ესპანურად ჯერ კიდევ არაფერი გაეგება და თამაშის დროს, თანაგუნდელებს ვერაფერს უგებს...

### აპია შალკეს მოურიგდა!

ის-ისიყო, „შალკეს" გულშემატკივრებმა **სტეფან აპიაზე** ხელი ჩაიქნიეს, რომ გერმანულმა პრესამ მათთვის მეტად მოულოდნელი და სასიხარულო ინფორმაცია გაავრცელა. განელმა ნახევარმცველმა ერთ-ერთ თურქულ ტელეკომპანიას განუცხადა, გელზენკირხენულ კლუბს უკვე ყველაფერზე შევუთანხმდიო.

*„დიახ, შეთანხმება მიღწეულია და თუ გუნდებიც მორიგდებიან, ახლავე „შალკეში" გადავალ,"* – განაცხადა 26 წლის აპიამ, რომლის გადაბირებასაც „ხუმარები" დიდი ხანია ცდილობენ. „შალკეს" ბოსები განის ნაკრების კაპიტნის შესახებ განცხადების გაკეთებას ერიდებიან. ცნობილია, რომ აპიას ფასი დაახლოებით 8 მილიონი ევროა.

### გუტიერესი ალმერიას გააძლიერებს

სეგუნდა დივიზიონში გავარდნილ "სოსიედადს" მცველი **ხუანიტო გუტიერესი** ტოვებს. 27 წლის ფეხბურთელი მომავალ სეზონში პრიმერას დებიუტანტ "ალმერიაში" ითამაშებს. ამ გუნდთან გუტიერესმა სამწლიანი გარიგება დადო.

"სოსიედადამდე" ეს ფეხბურთელი "მალაგასა" და "დეპორტივოში" თამაშობდა.

### კამერუნელი ჰიბერნიანში

"ჰიბერნიანის" რიგებში ჩაირიცხა კამერუნის ნაკრების მცველი **ტიერი გატეუსი**. ფეხბურთელი შოტლანდიურ კლუბს ავსტრიაში შეკრებაზე ახლდა და იქ საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი. ყოველ შემთხვევაში, "ჰიბერნიანის" ხელმძღვანელობამ გატეუსისთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა.

კამერუნელი მანამდე "მონპელიეში", "კანსა" და "სელტაში" თამაშობდა.

### ჟუნინიომ ვარჯიში დაიწყო

"ლიონის" ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რომ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, **ჟუნინიო პერნამბუკანომ** სრულად მოირჩინა მარჯვენა ბარძაყის ტრავმა, რომელიც ორი კვირის წინათ, ვარჯიშზე მიიღო.

ბრაზილიელი ნახევარმცველი დღეიდან შეუდგება გუნდთან ერთად ვარჯიშს.

### ლილში ახალგაზრდა შვედი მივიდა

ახალი სეზონისთვის ფრანგული "ლილი" შვედეთის "ჰალმსტადიდან" **ემრა ტაჰიროვიჩს** იმატებს. დღეს ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. შვედური პრესა ტრანსფერის თანხის შესახებ არაფერს იუწყება.

ტაჰიროვიჩი ივლისში გახდება 20 წლის. ის ბოსნიაში დაიბადა, მაგრამ შვედეთის მოქალაქეა და ერთი თვის წინათ, დებიუტი ჰქონდა ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში.

### ფიორენტინამ პაცინი შეინარჩუნა

ფლორენციის "ფიორენტინამ" 2011 წლამდე დაიტოვა თავდამსხმელი **ჯამპაოლო პაცინი**. ამ ფორვარდის მთავარი ამოცანა "ბაიერნში" გადასული **ლუკა ტონის** სრულფასოვნად შეცვლა იქნება.

პაცინიმ შარშან 24 მატჩი ითამაშა "ფიორენტინას" შემადგენლობაში და 7 გოლი გაიტანა.

### დაიერი ნიუკასლს ტოვებს

ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **კირონ დაიერი** სულ მალე დატოვებს "ნიუკასლის" რიგებს.

დაიერის ამჟამინდელი კლუბი მზადაა, 5 მილიონ ფუნტად გაუშვას ფეხბურთელი. ამ ეტაპზე, ნახევარმცველის შეძენა სამ ინგლისურ კლუბს - "ვესტ ჰემს", "ტოტენჰემსა" და "მანჩესტერ სიტის" სურთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერი

# 11 მილიონი ვაგნერ ლავში

## მილანმა ცსკა-ს ოფიციალურად მიმართა

ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე, ამ ტურნირის მოქმედ ჩემპიონს, "მილანს" მოსკოვის ცსკა-ს ფორვადის, **ვაგნერ ლავის** ხელში ჩაგდება აქვს განზრახული.

მილანელებმა ოფიციალურად მიმართეს არმიელთა კლუბს. იტალიელები მზად არიან 23 წლის თავდამსხმელში 11 მილიონი ევრო გადაიხადონ. ცსკა-ს პრეზიდენტს **ევგენი გინერს** ჯერ არ გადაუწყვიტავს, დაიწყოს თუ არა მოლაპარაკებები იტალიურ მხარესთან.

გინერი რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. სასწორის ერთ მხარეს 11 მილიონია - ამ თანხაზე უარის თქმა ძნელია, მაგრამ მეორეს მხრივ, ვაგნერ ლავის წასვლამ, შესაძლოა იმავე ჩემპიონთა ლიგაზე არმიელთა ფიასკო გამოიწვიოს, ეს კი გუნდს ფინანსურად დააზარალებს. ამასთან, საუკეთესო ფორვარდის არყოფნა რუსეთის ჩემპიონატში გამოსვლაზეც ნეგატიურად აისახება.

ამასთან ერთად, 2005 წელს, უეფას თასის მოგების შემდეგ, გინერს ასეთი რამ აქვს ნათქვამი - თუ ჩემი გუნდის ძირითადი ფეხბურთელებით ევროპული გრანდები დაინტერესდებიან, მათ წასვლაში ხელს არ შევუშლიო. ასე რომ, პრეზიდენტს პირობა აქვს შესასრულებელი.

*"არც კი მიფიქრია იმაზე, თუ რომელი გუნდები არიან ჩემით დაინტერესებულნი. კლუბსა და ნაკრებში კარიერა ჩინებულად ვითარდება. ყველა პირად საქმეს ჩემი აგენტი აგვარებს, რომელსაც ბოლომდე ვენდობი. ვიცი, რომ ახლა აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს ცსკას-თან კონტრაქტის გაგრძელებაზე. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პირველ რიგში, სწორედ მოსკოველების წინადადებას განვიხილავ"*, - განაცხადა კოპა ამერიკას ჩემპიონმა.

კოპაზე გამგზავრების წინ, გინერმა და ვაგნერმა მოილაპარაკეს, რომ ბრაზილიელის დაბრუნების შემდეგ, კლუბი და ფეხბურთელი ახალ კონტრაქტს გააფორმებდნენ, რომლის მიხედვითაც, ფორვარდის ყოველთვიური ხელფასი 150 ათასი დოლარი იქნებოდა. ამჟამინდელი კონტრაქტით, ბრაზილიელი თვეში 95 ათასს იღებს.

"მილანის" სკაუტები უკვე დიდი ხანია აკვირდებიან ვაგნერ ლავს. ეს ხდებოდა შარშან, ჩემპიონთა ლიგის მატჩებში და ცოტა ხნის წინათ, კოპა ამერიკაზე. იტალიელები კვირას, "ლოკომოტივისა" და ცსკა-ს მატჩსაც დაესწრნენ, სადაც მინდორზე მთავარი მოქმედი პირი სწორედ ვაგნერ ლავი იყო, რომელმაც დუბლი შეასრულა.

აღმოსავლეთ ევროპაში "მილანის" წარმომადგენელმა, **რევაზ ჭოხონელიძემ** ნაწილობრივ დაადასტურა "როსონერის" ვაგნერით დაინტერესება.



ვაგნერ ლავი

*"ამ ფორვარდის თამაშს დიდი ხანია ვაკვირდები. ის, რა თქმა უნდა, კარგი ფეხბურთელია, მაგრამ არა მგონია, "მილანმა" ყველა კარგი მოთამაშე გაიფორმოს. ჩვენი კლუბის ბოსები მზად არ არიან ისეთი თანხების გადასახდელად, რომლებსაც გაზეთებში ასახელებენ. თანაც, ჩვენ გვყავს რონალდო, კაკა, ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ალეშანდრე პატოსთან. რაში სჭირდება "მილანს" ცხრა ბრაზილიელი?"* - ამბობს ჭოხონელიძე.



ალეშანდრე პატო

დაპირისპირება. რეალი VS მილანი

# ვის დარჩება ალეშანდრე პატო?

"მილანი" და "რეალი" უახლოეს დღეებში ერთმანეთს ახალ ბრძოლას გამოუცხადებენ. ამჯერად საქმე **კაკას** აღარ ეხება. სამეფო კლუბის პრეზიდენტი მიხვდა, რომ "როსონერის" საუკეთესო ფეხბურთელის გადაბირება შეუძლებელია. მადრიდელებს ახლა ახალგაზრდა ბრაზილიელი ფორვარდის, **ალეშანდრე პატოს** ყიდვა სურთ. **პრედრაგ მიატოვიჩი** მის მენეჯერს, **ჟილმარ ველოსს** პირადად დაუკავშირდა და მოლაპარაკების პირველი რაუნდის გასამართად ესპანეთის დედაქალაქში დაპატიჟა. ველოსი მადრიდს მართლაც ჩავიდა, მაგრამ მიატოვიჩს ერთი შემაშფოთებელი ამბავიც ჩაუტანა. აღმოჩნდა, რომ პატოს გადაბირება "მილანმაც" გადაწყვიტა. იტალიელებს წარმოდგენა არ აქვთ, რა პირობებს შესთავაზებენ ესპანელები ბრაზილიელს, მაგრამ ამთავითვე აცხადებენ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, "რეალზე" ორი მილიონი ევროთი მეტს გადაიხდიან. ბატონი პრედრაგი აპენინელი კოლეგების ამ თამამი ქმედებით უკიდურესად აღშფოთებული დარჩა. მისთვის გაუგებარია, რატომ კადრულობს **ადრიანო გალიანი** ასეთ არაკოლეგიალურ საქციელს.

სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, რაც შეიტყო, რომ თავად პატოს "რეალის" გარდა არც ერთი გუნდის სახელის გაგონება არ სურს. ბრაზილიელი აგენტის განცხადებას თუ დავუჯერებთ, პატოს "ბერნაბეუზე" გადაბარგება, მხოლოდ და მხოლოდ, დროის საკითხია.

იუვენტუსი

# ჰაინცე ბებერ ქალბატონსაც მოუნდა

## იუვემ არსენალს სენდეროსზე ჩამოუგდო სიტყვა




გაბრიელ ჰაინცე

როგორც გუშინ ვიტყობინებოდით, "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი, სერ **ალექს ფერგიუსონი** არ აპირებს არგენტინელი **გაბრიელ ჰაინცეს** სხვა კლუბში გაშვებას. მიუხედავად ამისა, "კალჩომერკატო" ავრცელებს ცნობას იმის შესახებ, რომ "იუვენტუსმა" ამ მცველის შესაძენად ინგლისის ჩემპიონს ოფიციალური წინადადებით მიმართა.

სავარაუდო ტრანსფერის ღირებულება დაახლოებით 5 მილიონ ევროს უდრის. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ჰაინცეს გადაბირება "ლივერპულს" სურდა, მაგრამ მხარეები ფინანსურ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ.

ამასობაში, "ბებერი ქალბატონი" შვეიცარიელი მცველის, **ფილიპ სენდეროსის** შეძენის თაობაზე ლონდონის "არსენალთან" იწყებს მოლაპარაკებებს. ტურინელები ამ ფეხბურთელში 3 მილიონ ფუნტს იხდიან.

შეგახსენებთ, რომ 22 წლის სენდეროსი "არსენალში" 2003 წლიდან თამაშობს. მან 2005-06 წლების სეზონში უმძიმესი ტრავმა მიიღო და მას შემდეგ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მუდმივი პრობლემები აქვს. გარდა ამისა, "მეფოთეებში" **ვილიამ გალასის** მისვლის შემდეგ, სენდეროსი ხშირად ველარ ხვდება "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში.

მაგრამ "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელის **კლაუდიო რანიერის** ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ ეს შვეიცარიელი ფეხბურთელია, რადგან ტურინელებს მცველი სჭირდებათ და მათი ინფორმაციით, სენდეროსს ინგლისის დატოვება სურს.

## სპორტინგმა ბრაზილიელი მცველი უფასოდ მიიღო

ბრაზილიელმა მცველმა **პედრო სილვამ** "კორინთიანსთან" კონტრაქტი გაწყვიტა და უახლოეს დღეებში ლისაბონის "სპორტინგის" რიგებში ჩაირიცხება - წერს გაზეთი A Bola.

ხელშეკრულების გაუქმების მიზეზი გახდა ის, რომ კლუბმა ფეხბურთელს ხელფასი არ გადაუხადა. შესაბამისად, სილვა "სპორტინგში" უფასოდ გადავა.

აღსანიშნავია, რომ 26 წლის ბრაზილიელი ადრეც თამაშობდა პორტუგალიის ლიგაში - ის კოიმბრას "აკადემიკას" ღირსებას იცავდა.

## როშემბაკი სამი მატჩით დაისაჯა

"მიდლსბროს" ბრაზილიელ ლეგიონერ **ფაბიო როშემბაკს** პრემიერლიგის საწყისი ტურების გამოტოვება მოუწევს. მაგრამ ამ შემთხვევაში მიზეზი არა ტრავმა, არამედ ფეხბურთელის დისკვალიფიკაციაა.

ბერლინის "ჰერტასთან" ამხანაგურ მატჩში, როშემბაკი მეტოქე ფეხბურთელს ეუხეშა და მინდვრიდან გააძევეს. მოგვიანებით კი, პრემიერლიგის სადისციპლინო კომიტეტმა მას 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. სასჯელი მხოლოდ ოფიციალურ მატჩებზე ვრცელდება.

## ვალენსია ვილიას არ უშვებს

"ვალენსიას" წამყვანმა თავდამსხმელმა **დავიდ ვილიამ** კომენტარი გაუკეთა მისი გუნდიდან სავარაუდო წასვლას.

*"ვიცი, რომ ჩემი ტრანსფერით რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული. მაგრამ "ვალენსიამ" ყველა წინადადება უარჰყო. ახლა მესმის, თუ რამდენად საჭირო ვარ ამ გუნდისთვის. ამიტომაც, "ვალენსიაში" ვრჩები და შევეცდები, მას ესპანეთის ჩემპიონატში გავამარჯვებინო"*, - მოჰყავს ფორვარდის სიტყვები "სქაი სპორტს".

შეგახსენებთ, რომ ვილიათი ყველაზე მეტად "ჩელსი" და "ლივერპული" იყვნენ დაინტერესებულნი.

## პორტუში ახალი ბრაზილიელია

"პორტუმ" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიის იუნიორთა ნაკრების ლიდერ **ლეანდრო ლიმასთან**.

*"ევროპაში გადასვლა ძალიან მინდოდა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "პორტუსთან" ერთად, რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო"*, - განაცხადა უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდზე 19 წლის ბრაზილიელმა.

## პალერმო ლიდერებს არ შეელევა

"პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** დააწყნარა კლუბის გულშემატკივრები. პრეზიდენტის თქმით, "პალერმო" არ აპირებს თავის ლიდერებთან განშორებას.

*"გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ბარძალი, ძაკარდო და კავანი კლუბიდან არ წავლენ"*, - განაცხადა იტალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში მაურიციო ძამპარინიმ.

## იგიტა ფეხბურთს უბრუნდება

სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს კოლუმბიური პრესა: ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი მეკარე, ლეგენდარული **რენე იგიტა** დიდ ფეხბურთში აპირებს დაბრუნებას. კერძოდ, გოლკიპერი, რომელმაც სამი წლის წინათ ოფიციალურად დაასრულა კარიერა, ვენესუელურ "გუაროს დე ლარაში" დაიწყებს ახალ სეზონს. ეს კლუბი ქალაქ ბარკისიმეტოს ეკუთვნის.

*"ამჟამად კუკუტაში (კოლუმბიის ქალაქი) მივფრინავ, სადაც ჩემი ახალი კლუბი ვენესუელას ჩემპიონატისთვის ემზადება. რამდენიმე საათის წინ, "გუაროს დე ლარასთან" კონტრაქტი გავაფორმე და ახლა, თანაგუნდელების გასაცნობად გავემგზავრები"*, - განაცხადა იგიტამ ადგილობრივი რადიოსადგურის პირდაპირ ეთერში.

ცნობისთვის, რენე იგიტას კარიერის განმავლობაში 41 გოლი აქვს გატანილი. აქედან 37 მან პენალტით შეაგდო, ოთხი კი ჯარიმების შესრულების შემდეგ.

## სონქმა მაკაბის უარი უთხრა

მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი მიონხენგლადბახის "ბორუსიას" თავდამსხმელი **უესლი სონკი** გუნდის დატოვებას აპირებს, რათა მომავალი სეზონისთვის უფრო მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს.

მაგრამ, გერმანული პრესის ცნობით, ბელგიელმა ფორვარდმა უარყო თელ-ავივის "მაკაბის" შეთავაზება და ახლა ახალ წინადადებებს ელის.

## უესჰემ კლუივერტს დაუძახა

"შეფილდ უენსდიმ" 31 წლის **პატრიკ კლუივერტს** გუნდში სამედიცინო შემოწმების გავლა შესთავაზა. ცნობილი ჰოლანდიელი ფორვარდი ამჟამად "ეინდჰოვენში" ირიცხება, მაგრამ ამ გუნდის დატოვება აქვს განზრახული.

*"მჭიდრო კავშირი მაქვს კლუივერტის აგენტთან. ჩვენ ის შეფილდში მოვიწვიეთ, მაგრამ აქვე უნდა განვაცხადო, რომ გადაწყვეტილი არაფერია. ეს მოწვევა არ ნიშნავს იმას, რომ ჰოლანდიელი აუცილებლად ჩაირიცხება "უენსდიში"*, - ამბობს გუნდის დამრიგებელი **ბრაიან ლოუზი**.

კლუივერტს ინგლისში თამაშის გამოცდილება გააჩნია. თავის დროზე, "ნიუკასლში" ჩატარებულ 14 მატჩში მან 6 გოლი გაიტანა, მაგრამ კლუბმა არ ისურვა ფორვარდთან კონტრაქტის გაგრძელება და თავდამხსმელი "ვალენსიაში" გაუშვა.

## ვენგერი მოდრიჩს აკვირდება

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** განაცხადა, რომ ის ყურადღებით აკვირდება ზაგრების "დინამოს" ნახევარმცველ **ლუკა მოდრიჩს**. ეს უკანასკნელი ხორვატულ კლუბში **ედუარდო და სილვას** პარტნიორი იყო, რომელიც ახალი სეზონიდან ლონდონურ კლუბში ითამაშებს.

*"ვიცი, რომ და სილვა "დინამოში" შესანიშნავად იყო შეთამაშებული ერთ მოთამაშესთან. ეს არის ლუკა მოდრიჩი. ძალიან მომწონს ეს ფეხბურთელი, მას თავისი მოქმედებებით ნებისმიერი შეხვედრის ბედის შეცვლა შეუძლია. შესაძლოა, სულ მალე მასთან მოლაპარაკებები დავიწყოთ"*, - განაცხადა ფრანგმა სპეციალისტმა.

## მარსელმა 42 ათასი აბონემენტი გაყიდა

"მარსელის" გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან ახალი სეზონის დაწყებას. კლუბმა უკვე 42 ათასი სასეზონო აბონემენტი გაყიდა - იუწყება ფრანგული პრესა.

აბონემენტების რეალიზაცია ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ მოყვანილი რიცხვი შარშანდელზე 42 პროცენტით მეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ტევესს ეშველა?

## სქოულზი აზიურ ტურნეში დაშავდა და ერთი თვე ვერ ითამაშებს

როგორც ჩანს, **კარლოს ტევესის** "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას სულ მალე დაადგება საშველი. ადრე ვიტყობინებოდით, რომ "ვესტ ჰემი" არაფრის დათმობას არ აპირებდა და არგენტინელ ფორვარდს "მანჩესტერში" არ უშვებდა, მაგრამ მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის შემდეგ, ტევესი საბოლოოდ, ინგლისის ჩემპიონის რიგებში აღმოჩნდება.

ამის თქმის საშუალებას გვაძლევს "ვესტ ჰემის" მფლობელის, **ეგერტ მაგნუსონის** უკანასკნელი განცხადება, რომლის მიხედვითაც ლონდონელები მზად არიან, არგენტინელს გამოეთხოვონ.

*"კარლოსს ძალიან უნდა ჩემპიონთა ლიგაზე თამაში. ჩემი აზრით, ის სულ მალე დატოვებს "ვესტ ჰემს"*, - მოჰყავს მაგნუსონის სიტყვები Sportinglife.com-ს.

■ ■ ■

ამასობაში, "მანჩესტერ იუნაიტედმა" აზიურ ტურნეში მესამე შეხვედრა ჩაატარა და მაკაუში ადგილობრივი "შენჟენი" 6:0 გაანადგურა. ინგლისის ჩემპიონის რიგებში გოლები გაიტანეს: **გიგზმა, რუნიმ, ნანიმ, ო'შიმ, კრისტიანო რონალდომ** და **იგლზმა**.

ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია მანჩესტერელთა წამყვან ნახევარმცველ **პოლ სქოულზს**. ვეტერანმა ფეხბურთელმა "სეულთან" (4:0) წინა მატჩში მუხლი დაიზიანა. თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ დაზიანება სერიოზული არ ყოფილა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ სქოულზს ოპერაცია სჭირდება და ამის გამო, დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს თამაშს.



პოლ სქოულზი

ასე რომ, 33 წლის ფეხბურთელი ახალი სეზონის სტარტს გამოტოვებს. შეგახსენებთ, პრემიერლიგის პირველი ტური 12 აგვისტოს გაიმართება და "მანჩესტერს" პირველი შეხვედრა "რედინგთან" ელის.

ვოლფსბურგი

# მაგათი აღარ ხუმრობს!

## კიდევ ორი ახალწვეული, მგლებმა უკვე 10 ფეხბურთელი იყიდეს!

**ფელიქს მაგათის** მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის პოსტზე დანიშვნის შემდეგ, „ვოლფსბურგში" დიდი მუშაობაა, რაც, პირველ რიგში, ტრანსფერებში აისახება - „დესპოტმა ფელიქსმა" ფაქტობრივად, ახალი გუნდის შენება დაიწყო და ცდილობს, გარშემო ახალგაზრდა და პერსპექტიული მოთამაშეები შემოიკრიბოს. „მგლები" მომავალი სეზონისთვის ძალიან სერიოზულად ემზადებიან და ცხადია, რომ ამბიციაც დიდი ექნებათ.

გასულ უქმეებზე „ვოლფსბურგმა" კიდევ ორი ტრანსფერი სრულყო. მაგათმა წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები „ჰამბურგთან" და ამ გუნდიდან 23 წლის ნახევარმცველი **ალექსანდერ ლაასი** გადაიბირა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ამ მოთამაშის სანაცვლოდ VFL-მა HSV-ს 1.5 მილიონი ევრო გადაუხადა. ლაასის შემდეგ კი, მაგათმა მცველ **მარსელ შეფერსაც** გაუფორმა სამწლიანი კონტრაქტი. ამ უკანასკნელში გადახდილი თანხის ოდენობა უცნობია. ლაასი და შეფერი „ვოლფსბურგისთვის" რიგით მე-9 და მე-10 (!) შენაძენები არიან.

მაგათის სამიზნე ახლა „ვერდერის" მარცხენა მცველი **კრისტიან შულცი** გახლავთ, რომელიც ბრემენული ყოფით ძალიან უკმაყოფილოა, რადგან უმეტეს წილად სათადარიგოთა სკამს ხეხავს – **თომას შააფი** ძირითად შემადგენლობაში ხომ მუდმივად **პიერ ვომეს** ათამაშებს. შულცის გადაბირება „ჰანოვერსაც" სურს. სამაგიეროდ, „ვოლფსბურგი" **ხუან კარლოს მენსეგესმა** დატოვა. ეს უკანასკნელი იტალიაშია და რამდენიმე გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. მაგათის თქმით, მენსეგესის წასვლა გადაწყვეტილი ჯერ არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ ფეხურთელს „მგლებში" დარჩენა არ სურს.



ფელიქს მაგათი



ჯორჯო კიელინი

"მანჩესტერ სიტის" ახალ მთავარ მწვრთნელს, **სვენ-გორან ერიქსონს** სერბი **ივიცა დრაგუტინოვიჩით** სურს დაცვითი ხაზის გაძლიერება.

მანჩესტერ სიტი

# ერიქსონის პრიორიტეტები

## სიტიში ემერს ფაე გადავიდა

Mirror sports-ის ცნობით, "სევილიას" 31 წლის ფეხბურთელი 2 მილიონ ფუნტად არის შეფასებული. დრაგუტინოვიჩი თავისი უნივერსალურობით არის გამორჩეული - მას დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში.

კიდევ უფრო დიდია "სიტის" დაინტერესება "იუვენტუსის" მცველით, **ჯორჯო კიელინით**. ამ ფეხბურთელის შეძენა "ლივერპულსაც" სურს, მაგრამ მანჩესტერული კლუბის ხელმძღვანელობამ მერსისაიდელებზე სარფიანი პირობები შესთავაზა იტალიურ მხარეს.

კერძოდ, "სიტი" კიელინიში 10 მილიონ ევროს იხდის და ამ თანხამ სერიოზულად ჩააფიქრა "იუვენტუსის" მესვეურები - მათ კიელინის გაყიდვაზე დაიწყეს ფიქრი. სხვათა შორის, კიელინის შეძენაც ერიქსონის მოთხოვნა ყოფილა.

დაბოლოს, გადაწყვეტილია, რომ "მანჩესტერ სიტიში" გააგრძელებს კარიერას "ნანტის" ნახევარმცველი **ემერს ფაე**. კოტ დ'ივუარის ნაკრების ფეხბურთელი უახლოეს დღეებში ჩავა მანჩესტერში და ერიქსონის გუნდთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ტრანსფერის თანხა კი, 4 მილიონ ევროს გაუტოლდება.

უფრო ადრე, ფაეს გადაბირებას მოსკოვის "ლოკომოტივი", კიევის "დინამო" და "რედინგი" ცდილობდნენ.

მუსრია

# კარინი ოთხი წლით

გუშინ პრიმერადივიზიონში აღზევებული "მურსიის" ხელმძღვანელობამ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ესპანურმა კლუბმა **ფაბიან კარინი** ოთხი წლით გადაიბირა. ურუგვაის ნაკრების მეკარე გარიგებით აღფრთოვანებული დარჩა: *"ბედნიერი ვარ, რომ მომავალ სეზონს პრიმერა დივიზიონში გავატარებ. ბოლო დროს "ინტერის" ხელმძღვანელობისგან არცთუ გულთბილ დამოკიდებულებას ვგრძნობდი. "როსონერიდან" აზარგება მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. უზომოდ მიხარია, რომ ესპანურ ლიგაში მოვხვდი. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "მურსიის" მესვეურების მიერ გაცემული ავანსები ბოლომდე გავამართლო."*

ბოლტონი

# ვილჰელმსონი, ჰელგუსონი და 20 წლის ბოგდანი

ისლანდიის ნაკრების ფორვარდი **ჰეიდარ ჰელგუსონი** კლუბს იცვლის. "ფულჰემის" თავდამსხმელი კარიერას "ბოლტონში" გააგრძელებს.

ბოლტონელებმა 29 წლის ფორვარდთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს. შეგახსენებთ, რომ ჰელგუსონმა ლონდონში ორი სეზონი ითამაშა და ამ დროის განმავლობაში, 11-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

თითქმის გადაწყვეტილია "ბოლტონში" შვედი ნახევარმცველის, **კრისტიან ვილჰელმსონის** თამაში. ეს ფეხბურთელი "ნანტს" ეკუთვნის, თუმცა შარშანდელი სეზონი არენდით "რომაში" გაატარა.

*"ამჟამად ფეხბურთელის პირად კონტრაქტზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ვფიქრობ, გარიგება ამ კვირას შედგება, რადგან კლუბებმა უკვე შეათანხმეს ტრანსფერის ღირებულება"*, - ამბობს ვილჰელმსონის აგენტი **ფაბიო ალჰო**.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც "ბოლტონის" ბანაკიდან ვრცელდება. "უონდერერსი" უნგრელი მეკარის, **ადამ ბოგდანის** შეძენას აპირებს. ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტი იტყობინება. 20 წლის ბოგდანი გასინჯვაზე იყო "ბოლტონში" და კლუბის ხელმძღვანელობას ისე მოაწონა თავი, რომ მეკარესთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყდა.

ბოგდანი "ვაშაშის" კუთვნილებაა, თუმცა გასული სეზონი უნგრეთის მეორე დივიზონის კლუბ "ვეჩეშში" გაატარა.



კრისტიან ვილჰელმსონი

მწვრთნელი

# კაპელო მუშაობის დაწყებას არ აპირებს

გუშინ **ფაბიო კაპელომ** ესპანურ "რადიო მარკას" მოკლე ინტერვიუ მისცა. იტალიელმა სპეციალისტმა რამდენიმე საინტერესო საკითხზე ისაუბრა: *"დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს, რომ "რეალის" ხელმძღვანელობისგან განსხვავებით, გულშემატკივრები ჩემს დარჩენას უჭერდნენ მხარს. ყველა გამოკითხვის თანახმად, ინჩასების მინიმუმ 70 პროცენტი ითხოვდა, რომ მუშაობა გამეგრძელებინა. მიუხედავად ამისა, რამონ კალდერონმა და პრედრაგ მიატოვიჩმა აბსოლუტურად განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღეს. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის უბრალო გულშემატკივრებისა და სოსიოების დამოკიდებულება გაცილებით მნიშვნელოვანია. ბოლო დროს ჩემს მიმართ პრესაც დადებითად იყო განწყობილი. ერთი სიტყვით, ფართო საზოგადოებამ ფაბიო კაპელოს მუშაობა დადებითად შეაფასა. სწორედ ესაა მთავარი. დირექტორატის კორპორატიული ინტერესები კი მომავალში აღარავის ემახსოვრება. ფაქტს ვერაფერი შეცვლის, პირველივე სეზონში პრობლემებით დახუნძლულ "რეალს" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოვუტანე."*

კაპელოს ესპანელმა რადიო ჟურნალისტებმა სამომავლო გეგმებზეც ჰკითხეს. გაირკვა, რომ დონ ფაბიო უახლოეს მომავალში მუშაობას არ აპირებს: *"დასვენება მჭირდება. ოჯახის წევრებთან ერთად ბევრს ვიმოგზაურებ. მრავალი წლის განმავლობაში მათ ყურადღებას ვერ ვაქცევდი. ახლა კი დანაკლისს ავინაზღაურებ და ცხოვრებით დავტკბები. მოკლედ, მუშაობას არ ვაპირებ."*

რატომაც არა, კაპელოს ფული ისედაც არ აკლდა. "რეალის" ხელმძღვანელობის მიერ კონტრაქტის გაწყვეტის გამო, ბატონი ფაბიო მომდევნო ორი წლის განმავლობაში ხუთ მილიონ ევროს მიიღებს. დაგვეთანხმებით, ეს თანხა იტალიელს უზრუნველად ცხოვრების საშუალებას მისცემს.



ფაბიო კაპელო



ასიერ დელ ორნო

სავარაუდო ტრანსფერი

# დელ ორნოს ბილბაოში უნდა

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ესპანეთის ნაკრების მცველმა **ასიერ დელ ორნომ** "ვალენსიას" ხელფასის გაზრდა მოსთხოვა, რასაც კლუბი კატეგორიულად არ დაეთანხმა. ამის გამო, დიდია ალბათობა იმისა, რომ დელ ორნომ "ვალენსია" დატოვოს. პირველი კლუბი, რომელიც ამ მცველის ტრანსფერით დაინტერესდა, მიუნხენის "ბაიერნია", მაგრამ დელ ორნო, "ჩელსიში" წარუმატებელი კარიერის გათვალისწინებით, საზღვარგარეთ გამგზავრებას აღარ აპირებს და ესპანეთში სურს დარჩენა.

ასიერს უფრო კონკრეტული მიზანიც ჰქონია - მას ყველაზე მეტად "ბილბაოში" გადასვლა უნდა.

"ჩვენ უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს "ატლეტიკთან". ეს არის ერთადერთი კლუბი, სადაც ასიერს გადასვლა სურს. ჯერჯერობით, გუნდები ტრანსფერის თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. სწორედ ამაში მდგომარეობს მთავარი პრობლემა. იმედი მაქვს, რომ "ვალენსია" და "ბილბაო" გამოსავალს იპოვნიან და მცველი მშობლიურ კლუბში დაბრუნდება", - ამბობს ფეხბურთელის ძმა და აგენტი, **დავიდ დელ ორნო**.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ სამუელ ეტოოსთან

# ლაპორტამ ბერლუსკონი შოკში ჩააგდო

## კამერუნელი ფორვარდი მომავალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელის. ის დარწმუნებულია, რომ ტიერი ანრისთან ერთად კატალონიური გრანდი უდიდეს წარმატებებს მიაღწევს

**სამუელ ეტოო "ბარსელონასთან" ერთად შოტლანდიაში იმყოფება. მოგეხსენებათ, კატალონიური გრანდი მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. სხვადასხვა მიზეზის გამო, ფრანკ რიიკაარდს გაერთიანებულ სამეფოში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი ვერ გაჰყვა. ლიონელ მესი და რაფა მარკესი კოპა ამერიკის შემდეგ დასასვენებლად გაუშვეს. კარლეს პუიოლსა და ეიდურ გუდიონსენს კი ტრავმები აქვთ. ცხადია, მთავარი მწვრთნელისთვის ძალიან ცუდია, რომ სრულ შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება არ აქვს, მაგრამ ამის გამო გლოვას არავინ დაიწყებს. ჰოლანდიელ სპეციალისტს დროთა განმავლობაში შეგირდები დაუბრუნდებიან და "ბარსა" სრულყოფილად მოემზადება. ამ ეტაპზე კი ისიც სასიხარულოა, რომ კატალონიური გიგანტის სხვა წამყვანი ვარსკვლავები ენთუზიაზმით მუშაობას შეუდგნენ. ერთ-ერთი მათგანი, რა თქმა უნდა, სამუელ ეტოოა. ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ კამერუნელ ფორვარდს "მილანი" ეპატიჟებოდა. მართლაც, იტალიური კლუბი მას საუცხოო კონტრაქტს სთავაზობდა, მაგრამ ფეხბურთელმა წასვლა არ ისურვა. სამუელი "ბარსელონასთან" ერთად მორიგი ტიტულების მოპოვებაზე ოცნებობს. ბევრს ეგონა, კამერუნელი ტიერი ანრის ტრანსფერს ეჭვის თვალით შეხვდებოდა, თუმცა ჯერჯერობით, საამისო დასკვნის გამოტანის არანაირი საფუძველი არ არსებობს. არავინ იცის, ეტოო გულის სიღრმეში რას ფიქრობს, მაგრამ გარეგნულად ჩანს, რომ ის ფრანგი ფორვარდის მისვლით ძალიან ბედნიერია. "დიარიო ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში სამუმ აღფრთოვანებით აღნიშნა, ანრი შესანიშნავად ვარჯიშობს, მოტივაციითა და ენთუზიაზმითაა აღსავსე და მჯერა, მომავალ სეზონში უმაღლესი მწვერვალების დაპყრობის საქმეში უმნიშვნელოვანეს წვლილს შეიტანსო...**

**- როგორი განწყობით იწყებს სამუელ ეტოო პრეტემპორადის საწყის ციკლს?**

- როგორც ყოველთვის, ახლაც უაღრესად მოტივირებული ვარ. ერთი სული მაქვს, სასურველ კონდიციებს როდის აღვიდგენ. გასაგები მიზეზების გამო, საუკეთესო ფორმაში ჯერ არ ჩავმდგარვარ, თუმცა ეს, მხოლოდ და მხოლოდ, დროის საქმეა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო.

**- გასული დღეების განმავლობაში "მილანში" თქვენს შესაძლო გადაბარგებაზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ თემასთან დაკავშირებით? ტრანსფერი დღის წესრიგიდან მოიხსნა?**

- მართლაც ბევრი სტატია და პუბლიკაცია დაიბეჭდა. სამწუხაროდ, ძირითადად სპეკულაციებთან გვქონდა საქმე. არ ვიცი რატომ, მაგრამ ხშირად ხალხს სიმართლეს ჭორი ურჩევნია. ჟურნალისტები საუბრობდნენ და ახლაც ბევრს საუბრობენ და კვლავ არავის აინტერესებს, რას ფიქრობს თავად სამუელ ეტოო საკუთარ მომავალზე. არ გეჩვენებათ, რომ პარადოქსული სიტუაციაა? აშკარად უმჯობესი იქნებოდა, მკითხველებს, რადიომსმენელებსა და ტელემაყურებლებს ჩემთან შეთანხმებული ინფორმაციები მიეღოთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეტოოს აზრი, ფაქტობრივად, არავის აინტერესებდა.

**- შეგიძლიათ, ყველაფერი გვითხრათ...**

- ცოტა გვიანია, მაგრამ ხომ იცით, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს... "ბარსელონასთან" გაფორმებულ კონტრაქტს ვადა ჯერ არ ამოწურვია. უამრავჯერ მითქვამს და თქვენის ნებართვით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ხელშეკრულების დარღვევა არ მსურს. პირიქით, მინდა, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვო. ერთი სიტყვით, "კამპ ნოუდან" აბარგება არასოდეს მიფიქრია.

**- კი, მაგრამ ჯერ კიდევ გასული სეზონის დასრულებამდე ამბობდით, რომ უამრავი მთხოვნელი გყავდათ და რომელიმე გრანდში გადაბარგება არ გაგიჭირდებოდათ. არ ვიცი, ახლა როგორი რეაქცია გექნებათ, მაგრამ მაშინ აშკარად ულტიმატუმის ენით საუბრობდით...**

- არავითარი ულტიმატუმი არ წამომიყენებია. უბრალოდ, იმას ვამბობდი, თუ "ბარსელონის" ხელმძღვანელობას ჩემი დატოვება არ სურს, პრობლემა არ შემექმნება, კარიერას სხვა დიდ გუნდში გავაგრძელებ-მეთქი. მადლობა ღმერთს, ხოან ლაპორტამ და ჩიკი ბეგირისტაინმა მთელი მსოფლიოს გასაგონად თქვეს, რომ სამუელ ეტოოს გაყიდვის შესაძლებლობა გონებაშიც არ გაუვლიათ. მათი საქმეებიც ამაზე მეტყველებს. ხშირად ხდება, როცა ამა თუ იმ კლუბის, ხელმძღვანელობა ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ბეგირისტაინი კი სიტყვის კაცი აღმოჩნდა. მან თქვა, ეტოო აქ რჩება. ჩვენს გენერალურ დირექტორს მოლაპარაკებებიც კი არ დაუწყია. დაზუსტებით ვიცი, მას არა მარტო "მილანის", არამედ, "ლივერპულისა" და "ჩელსის" წარმომადგენლებიც დაუკავშირდნენ, მაგრამ ჩიკიმ ყველასთან რამდენიმე წამში დაასრულა საუბარი. სატელეფონო ზარი მხოლოდ იმდენ ხანს გრძელდებოდა, რამდენიც ერთი წინადადების წარმოთქმას სჭირდებოდა: "გმადლობთ, რომ შეგვეხმიანეთ, მაგრამ სამუელ ეტოო არ იყიდება." მერწმუნეთ, ურთიერთობა ამაზე დიდ ხანს არ გრძელდებოდა...

**- როგორ ფიქრობთ, "ბარსელონას" მსოფლიოში საუკეთესო თავდასხმა ჰყავს?**

- უდავოდ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ "ბარსელონაში" პლანეტის საუკეთესო ფორვარდებმა მოიყარეს თავი, მაგრამ ასევე ამაყად მოგახსენებთ, რომ მხოლოდ ეს არ არის ჩვენი კლუბის მთავარი ღირსება. მიმაჩნია, რომ "ბარსელონის" უკლებლივ ყველა რგოლი თანაბრად კარგადაა დაკომპლექტებული. ცხოვრება თავად დაგვანახებს, მომავალ სეზონში გულშემატკივრები მხოლოდ ფორვარდების თამაშით არ იქნებიან აღფრთოვანებულები. მათ ტაშს შუახაზი და დაცვაც დაიმსახურებენ.

**- თქვენი მიზანი ყველა ტიტულის მოპოვება იქნება?**

- რა თქმა უნდა. ამაზე ორი აზრიც არ არსებობს, თუმცა ვაცნობიერებთ, რომ დასახული ამოცანების შესრულება უდიდეს სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. "ბარსა" მართლაც ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ არც ჩვენი კონკურენტები არიან ხელწამოსაკრავები. დარწმუნებული ვარ, პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში ყოველი გუნდი განსაკუთრებული შემართებით დაგვიპირისპირდება. რაც არ უნდა იყოს, "ბარსელონის" დამარცხება მეტისმეტად საამაყოა (იცინის).

**- საქმე მხოლოდ ესაა?**

- ცხადია, არა. ჩვენს გარდა ლამაზ და სწრაფ ფეხბურთს სხვა გუნდებიც თამაშობენ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, სერიოზული კონკურენციის გადალახვა მოგვიწევს.

**- ტიერი ანრი როგორ გრძნობს თავს?**

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შემადგენლობაში შესანიშნავად ჩაეწერა. ეს ჩვენი დამსახურებაცაა. ტიერი მთელმა გუნდმა გულღიად მიიღო. ამით მას ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადალახვა ერთი-ორად გაუადვილდება.

**- არ გეშინიათ მასთან კონკურენციის?**

- ტიერი ანრის მოსვლამ არა შიში, არამედ ბედნიერიება მომგვარა. ის ხომ უძლიერსი ფორვარდია და წარმოუდგენლად მიხარია, რომ ამიერიდან "ბარსელონისთვს" გაირჯება. თამაშის საშუალება ყველას მოგვეცემა. მთავარია, შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვამჟღავნოთ. თუ ამას მოვახერხებთ, "ბარსელონა" აუცილებლად დაიპყრობს უმაღლეს მწვერვალებს.

**- სეზონის დაწყებამდე არცთუ დიდი დრო დარჩა. ახალწვეულებს გუნდში სრული ინტეგრირებისთვის ბევრი მუშაობა სჭირდებათ. საინტერესოა, ფრანკ რიიკაარდს ფორსმაჟორულ სიტუაციაში მუშაობა ხომ არ უხდება?**

- არა. რაც არ უნდა მოხდეს, მოთმინება უნდა ვიქონიოთ. ამისთვის კი მშვიდ გარემოში მუშაობაა საჭირო. სეზონი ჯერ არ დაწყებულა, ასე რომ, სადარდებელიც არაფერი გვაქვს.

**- გასული სეზონის წარუმატებლობების შემდეგ, რა უნდა შეიცვალოს?**

- რაც გასულ სეზონში მოხდა, მომავალში არ განმეორდება, რადგან ის უკვე ისტორიის ნაწილია. თუმცა ამავდროულად, შარშანდელი მოვლენები ჭკუის სასწავლებლად უნდა გამოვიყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ანალოგიური, ან სულაც უარესი უბედურება შეგვემთხვეს. რიიკაარდი ცვლილებებს აუცილებლად განახორციელებს. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. უმჯობესია, ცოტაც მოითმინოთ და ყველაფერს საკუთარი თვალით დაინახავთ.

**- ხოან ლაპორტას მიერ გამკაცრებული დისციპლინის პოლიტიკის გამოცხადებას როგორ აფასებთ?**

- ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე თავმოყვარე და ძლიერი კლუბის ღირსებას ვიცავთ. ამიტომ, ვალდებულები ვართ, მსოფლიო დონის ყველა სტანდარტს ვუპასუხოთ. დისციპლინის დაცვა პირადად ჩემთვის არასოდეს ყოფილა პრობლემა. ზრდასრული და პასუხისმგებლობით გამსჭვალული ადამიანები ვართ. თუ "ბარსას" მაისურის ღირსების დაცვა მსხვერპლს მოითხოვს, მზად ვართ, ეს სმხვერპლი ულაპარაკოდ გავიღოთ.

**- მოდით, "მილანს" დავუბრუნდეთ. გულნატკენი ხართ, რომ თქვენი მოსაზრებით არავინ ინტერესდებოდა. ისიც თქვით, სპეკულაციებთან გვქონდა საქმეო, მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ იტალიური გრანდი თქვენს შესაძენად სერიოზულად იბრძოდა. განცხადება თვით სილვიო ბერლუსკონიმ გააკეთა...**

- ეს ფაქტია.

**- და რა გრძნობა დაგეუფლათ ამ დროს?**

- სიამაყის, მაგრამ უკვე გითხარით, რომ "ბარსელონიდან" წასვლა არც კი მიფიქრია.

**- არ დაიღალეთ გაზეთებში ყოველდღე მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ სტატიების კითხვით?**

- რატომ გგონიათ, რომ გაზეთებს ხშირად ვკითხულობდი? როცა მივხვდი, რომ ყველა თავისას მიერეკებოდა, კითხვას შევეშვი.

**- "ბარსელონიდან" წასვლის შესახებ რონალდინიოც არ დაფიქრებულა? ცნობილია, რომ იგივე "მილანი" მას თქვენამდე იწვევდა...**

- განა არ სჯობს, ეს კითხვა უშუალოდ რონალდინიოს დაუსვათ?

**- რა თქმა უნდა, მაგრამ სად ვიპოვო ახლა რონალდინიო? იქნებ თქვენ გესაუბრათ?**

- რამდენადაც ვიცი, გაუჩო "ბარსელონაში" უზომოდ ბედნიერად გრძნობს თავს. წასვლა რომ ნდომოდა, ვერავინ დააკავებდა. "მილანმა" ლაპორტას 100 მილიონი ევრო შესთავაზა. ამ ცდუნებას ბევრი ვერ გაუძლებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი დარწმუნდა, რომ რონალდინიოს სხვაგან წასვლა არ უნდოდა, "მილანის" ზღაპრული წინადადება არ მიიღო. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, რომ ამ ნაბიჯით ლაპორტამ ბერლუსკონი შოკში ჩააგდო. იტალიელი მილიარდერი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ "ბარსელონის" პრეზიდენტს 100 მილიონ ევროზე უარის თქმა შეეძლო.




პელე და ეტოო



ხესუს ნავასი

სევილია

# ხესუს ნავასს აუტანელი ფობია აწუხებს

## ანდალუსიური კლუბის ახალგაზრდა ნახევარმცველი, ფრიად დელიკატური მიზეზის გამო, მარბელიასა და ჩიკაგოში ვერ მიდის

შარშანდელი პრეტემპორადის შემდეგ წელიწადი გავიდა, მაგრამ **ხესუს ნავასს** საშველი არ დაადგა. "სევილიის" ნახევარმცველმა კლუბის ხელმძღვანელობას საკუთარი მენეჯერის, **ხუან როდრიგეს დე მოიას** პირით შეუთვალა, რომ გუნდს ჩიკაგოში ვერ გაჰყვება. ნავასმა განაცხადა, რომ წინა წლების მსგავსად სევილიაში დარჩება და ინდივიდუალურად მოემზადება. აღსანიშნავია, რომ საბრალო ხესუსი **ხუანდე რამოსს** მეზობლად მდებარე მარბელიაშიც კი არ წაყვა. ამის მიზეზი ფეხბურთელის ფობია ყოფილა. ფობია, რომელიც ნავასს ბავშვობიდან აწუხებს. მას მგზავრობასთან დაკავშირებული პათოლოგიური შიში აქვს. "სევილიის" მთავარი მწვრთნელი გულდაწყვეტილია, რომ ერთ-ერთ საუკეთესო შეგირდთან ერთად მუშაობის საშუალება არ მიეცემა, მაგრამ ის მონსტრი არ არის, რომ გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის მდგომარეობაში არ შესულიყო: "*ხესუსი შესანიშნავი ბიჭია. გუნდისთვის ყოველთვის ბოლომდე იხარჯება, თუმცა შეკრებებზე ვერ დაგვყვება. თავად რომ არ გაეხმაურებინა, რა თქმა უნდა, ხმას არ ამოვიღებდი. მას მოგზაურობა არ უყვარს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ დიდი ხნით სხვაგან წასვლა აუტანელ დისკომფორტს უქმნის. იმედი მქონდა, წლეულს სიტუაცია შეიცვლებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ნავასი ახლაც ვერ გამოგვყვება. რა გაეწყობა, მას სევილიაში დავტოვებთ. მჯერა, არ იზარმაცებს და მაქსიმალურად მოემზადება. პრიმერა დივიზიონის დაწყებამდე "სანჩეს პისხუანზე" რამდენიმე ვარჯიშს ჩავატარებთ. ნავასი გუნდის სქემაში სწორედ ამ ვარჯიშების დროს უნდა ჩაეწეროს. იმედი ვიქონიოთ, ყველაფერი კარგად წარიმართება.*"

ხუანდე რამოსმა მართლაც დიდი სულგრძელობა გამოიჩინა, მაგრამ მისი გადაწყვეტილება მომავალში სერიოზული პრობლემების წარმოქმნის შესაძლებლობას სულაც არ გამორიცხავს. კლუბის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით, ვერ გადაუწყვიტავს გაუგრძელოს თუ არა ნავასს კონტრაქტი. ამისთვის საჭიროა, ახალგაზრდა ნახევარმცველმა პრეზიდენტსა და დირექტორატის მაღალჩინოსნებს თავი მოაწონოს. დაგვეთანხმებით, გუნდთან ერთად ვარჯიშის გარეშე ამ ამოცანის შესრულება ძალიან გაუჭირდება.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

**ჩოგბურთი**

# ლეილა მესხის პასუხი: ლანჩავას 8 მილიონი ვალი აქვს!



ლეილა მესხი ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ჩოგბურთის ფედერაციაში არსებული დაპირისპირების შესახებ კარგად მოგეხსენებათ. ფედერაციის წევრთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტი, ადვოკატი **დავით ლანჩავა** უდგას, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა მოითხოვა. საქართველოში დაბრუნებულმა ფედერაციის პრეზიდენტმა, **ლეილა მესხმა** გუშინ პრესკონფერენცია გამართა.

მესხის გვერდით ისხდნენ საქართველოს პირველი და მეორე ჩოგნები **ლადო ჩიხლაძე** და **ირაკლი ლაბაძე**, ჩოგბურთის ფედერაციაში ბავშვთა სპორტის კურატორი და ქალთა ნაკრების კაპიტანი **ლალი ზერეკიძე** და გენერალური მდივანი **ზურაბ ქაცარავა**.

ქალბატონ ლეილას და მის გუნდს უხვად ჰქონდათ წარმოდგენილი ფედერაციის მიერ წლების განმავლობაში გაწეული მუშაობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალა. დამსწრეებს დაურიგდა მხარდამჭერთა წერილებიც - ძირითადად, რეგიონული საჩოგბურთო ფედერაციებისა.

ლეილა მესხი: - ბედნიერი ვარ იმით, როცა ჩემს გვერდში ირაკლი ლაბაძეს, ლადო ჩიხლაძეს, ლალი ზერეკიძესა და ზურაბ ქაცარავას ვხედავ. მათი მხარდაჭერა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ცხადია, შემეძლო თანამშრომელთა მთელი არმია მომეწვია, მაგრამ ამის გაკეთება არ ჩავთვალე საჭიროდ. საჭიროდ ვცანი თქვენთვის დამერიგებინა საგანგებოდ შექმნილი პრესრელიზი, სადაც ფედერაციის მიერ გაწეული სამუშაო სრულად არის მოყვანილი. მეუხერხულებოდა ასეთი ხერხის ხმარება, მაგრამ ოპონენტებმა სხვა გზა არ დამიტოვეს. აქამდე წყნარად ვმუშაობდით და არ ვცდილობდით, საქვეყნოდ გველაპარაკა.

ახლა ლანჩავასა და მის მომხრეებზე ვთქვათ. როგორ იცით, მე ბატონ ლანჩავას დილეტანტი ვუწოდე. სხვათა შორის, ბატონმა დავითმა ეს თავად აღიარა, მაგრამ დასძინა, რომ მას ზურგს უმაგრებენ პროფესიონალები და მისი დახმარებით მშვენივრად წარმართავს ჩოგბურთის ფედერაციის მუშაობას. რაც შეეხება მისი გუნდის პროფესიონალიზმს, ასეთ ფაქტს მოგახსენებთ და თავად განსაჯეთ: საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ორჯერ ჩაატარა მწვრთნელთა სემინარი, რომელსაც უცხოელი სპეციალისტი ხელმძღვანელობდა. კურსები გაიარა 28 ქართველმა მწვრთნელმა, მათ შორის ირინა მალაციძემაც, რომელიც ლანჩავას გუნდშია და "იან ჰომერზე" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა უკავია. იმ 28 მწვრთნელიდან 27-მა წარმატებით გაიარა კურსები და მიიღო შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი; მხოლოდ ირინა მალაციძემ ვერ ჩააბარა და მიიღო ცუდი შეფასება, ანუ ორიანი.

ბრალს მდებენ, რომ რეგიონებში არ ვითარდება ჩოგბურთი. თქვენს ხელთ არსებულ პრესრელიზში არის რეგიონული ფედერაციებიდან გამოგზავნილი მხარდამჭერი წერილები - აჭარიდან, გურიდან, ქუთაისიდან, გორიდან. რეგიონებში სპორტის ბაზების მშენებლობა მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ფედერაციის ვალდებულება არ გახლავთ. ეს მხოლოდ კერძო პირების, სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივაზეა დამოკიდებული. ჩვენ ყოველმხრივ ხელს ვუწყობთ ჩოგბურთში დასაქმებულ ადამიანებს და ბავშვებს, რომ ოსტატობა აიმაღლონ, მაგრამ თუკი ბაზები არ იქნა, რას გავხდებით?! სადაც არ არის აუზი, წყალბურთს როგორ განავითარებ?! საბედნიეროდ, სახელმწიფომ ამ მხრივ გამოასწორა მდგომარეობა და საფეხბურთო მოედნებსა და ძიუდოს დარბაზების მშენებლობასთან ერთად საჩოგბურთო კორტების მოწყობაც იგეგმება. თელავში უკვე დასასრულს უახლოვდება ასეთი კერის აგება და ეს ძალიან გვიხარია, რადგანაც სწორედ ჩვენი ძალისხმევით მოხდა თავის დროზე ამ კორტების შენარჩუნება - კახეთის მაშინდელ გუბერნატორს მედიკო მეზვრიშვილს ლამის ფეხებში ჩავუვარდით და კორტები გაყიდვას გადავარჩინეთ.

ჩვენი ძალისხმევით ბათუმში 50-მდე ქვეყნის ჩოგბურთელი ჩავიყვანეთ და მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირებს ვაწყობდით, ბათუმი კი ჩოგბურთის კერად ვაქციეთ.

ჩემთვის გამაოგნებელი იყო ბატონ ვლადიმერ გოგლიძის ნათქვამი, რომელმაც ირაკლი ლაბაძე ურეიტინგოდ მოიხსენია. შეგახსენებთ, რომ ირაკლი ორი წლის წინათ მტკივანი, საოპერაციო მაჯით თამაშობდა და დევისის თასზე ასე გაგვამარჯვებინა. შემდეგ პორტუგალიასთან ითამაშა ასევე მტკივანი მაჯით. კვლავ გავიმარჯვეთ და პირველ ლიგაში დავრჩით. ამის შემდეგ გაიკეთა ურთულესი ოპერაცია და ექვსი თვე უქმობდა. ირაკლიმ ახლახან განაახლა ვარჯიში და იმედი მაქვს, რომ კვლავ დიდ შედეგებს აჩვენებს. ჩიხლაძეს რაც შეეხება, მასაც სამი თვეა, ტრავმის გამო არ უთამაშია და ვარჯიში რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო. ჩიხლაძემ საქართველოს ნაკრების წარმატებებში ლომის წილი დაიდო - ასეულის ჩოგბურთელები დაამარცხა და კვლავაც დაამარცხებს, თუკი, რა თქმა უნდა, ამ გარჯას დავუფასებთ და მადლობას ვეტყვით.

წარმატებული იყო ქალთა ნაკრებიც - ისინიც პირველ ლიგაში გადავიდნენ, რაც გმირობის ტოლფასი იყო. ამ და სხვა წარმატებების ფონზე ჩოგბურთის ფედერაციას საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულ ფედერაციად აღიარებენ და მადლობასაც გვიხდიან. დარბაზში იმყოფება მაკა ჩახნაშვილიც და დამიდასტურებს, რომ მაკა სამი წლის წინ ჩოგბურთს თავს ანებებდა. მე შევძელი მისი გადარწმუნება და სპონსორიც ვუშოვე, რომელმაც 100 000 დოლარი მისცა. ამჟამად ჩახნაშვილი საქართველოს პირველი ჩოგანია და წარმატებით გამოდის საერთაშორისო ტურნირში, მალე კი ასეულშიც შევა.

18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელები ცოტანი არიანო და მაგალითად თავიანთ ორგანიზებით ჩატარებული ტურნირი მოჰყავთ, სადაც ბავშვები ვერ შეაგროვეს. 16-17 წლის ასაკში ჩოგბურთელი არჩევანის წინაშეა - ან სპორტს გაჰყვეს, ან სწავლას. ამ არჩევანს ჩოგბურთის სიძვირე განაპირობებს - საერთაშორისო კლასის ჩოგბურთელი რომ გაიზარდოს, მას წელიწადში მინიმუმ 100-150 ათასი დოლარი სჭირდება. ამას გარდა, თუკი "ბაბოლატის" თასზე ხალხი ვერ მოვიდა, ვთვლი, რომ ცუდი ორგანიზაციის ბრალია, თორემ ახლა სწორედ "იან ჰომერის" კორტებზე ჩვენ ვატარებთ "კოკა-კოლას" თასს და იქ 20 ქვეყნის 64 მონაწილეა. ეს იმიტომ, რომ საჩოგბურთო სამყაროში იციან - როცა ტურნირს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია და ლეილა მესხი ატარებს, კარგი ორგანიზაცია იქნება და ჩამოსვლაზე უარს არ არიან.

ერთ-ერთი ბრალდებაა ისიც, რომ ფედერაციას არ აქვს ჟურნალი. განვმარტავ, რომ მსოფლიოს არც ერთ ფედერაციას საკუთარი ჟურნალი არა აქვს, - ეს მხოლოდ კერძო პირების ინიციატივაა. მე არ მიმაჩნია სწორად ჟურნალში ფულის ხარჯვა და საკუთარ თავზე დითირამბების წერა. მირჩევნია ეს ფული ჩოგბურთელებს და ჩოგბურთს მოვახმარო.

გაუგებრად საუბრობს ბატონი ლანჩავა და ამბობს, რომ მასთან მეცადინეობა საათში 2 დოლარი ღირს. ეს სრული სიცრუეა. საქართველოში ყველგან თითქმის ერთი ტარიფია და თუკი სამეცადინო დღეებზე გადავანაწილებთ თანხას, ყველას ერთნაირი ტარიფი გამოსდის. კერძო მეცადინეობა კი მასთან 20 დოლარი ღირს. გამაოგნა იმანაც, რომ ამბობს - კერძო მეცადინეობა გავაუქმე და ყველა თანაბარ პირობებშიაო. უამრავი საჩოგბურთო სკოლა ვიცი, ლაბაძეც ამერიკაში, ჩიხლაძე კი გერმანიაში სწავლობდა და ვარჯიშობდა. ყველგან არის კერძო სწავლება და მეტიც - ეს აუცილებელია სპორტსმენის ოსტატობის ზრდისთვის. ფედერაცია არასდროს ჩასულა კერძო პირის საქმეში, მაგრამ ამით იმის თქმა გვსურს, რომ ვიცით, სად რა ხდება.

მთავარი კი ის არის, რომ ბატონ დავით ლანჩავას 8 მილიონი ლარი ვალი აქვს და თუკი გვსურს, ავირჩიოთ ასეთი პრეზიდენტი.

**ამ სიტყვებმა აჟიოტაჟი გამოიწვია და ქალბატონ ლეილას უფრო დაკონკრეტება მოსთხოვეს.**

- საქმე ის არის, რომ "იან ჰომერის" ჩოგბურთის კომპლექსის მშენებლობა მე დავიწყე. ცნობილი მეცენატი ბიძინა ივანიშვილი ჩემი მეგობარი გახლდათ და მან მომცა საშუალება შეღავათიანი





ლადო ჩიხლაძე, ირაკლი ლაბაძე



ლალი ზერეკიძე

კრედიტით მესარგებლა. დაიწყო მშენებლობა, მაგრამ კრედიტს გასტუმრება ხომ ესაჭიროებოდა? მეგობრობა-მეგობრობად, მაგრამ ვალდებულებები გვეკისრებოდა და ამას ვერსად გავექცეოდით. ვატყობდი, რომ კრედიტის გასტუმრება გაგვიჭირდებოდა და ამიტომ დავიწყე ინვესტორის ძებნა, რომელიც თანხას პირდაპირ ჩადებდა კომპლექსში. ამ დროისთვის ბატონი დავით ლანჩავა ჩემი ოჯახის ადვოკატი იყო, ჩოგბურთშიც მე მოვიყვანე და ყველა საკითხში ჩავახედე. მისი კომპეტენციის მჯეროდა და ფედერაციას ახალი წესდებაც კი მას შევადგენინე, რაშიც მწარედ მოვტყუვდი - იქ არის ისეთი პუნქტები, რომელიც იურიდიულად ბევრ ნიუანსს შეიცავს და შეიძლება ეს დოკუმენტი სხვა იურისტისთვის მეჩვენებინა. მთავარს დავუბრუნდეთ: ინვესტორის ძიების პროცესში ვიყავი და ერთხელაც ბატონმა დავითმა საკუთარი ვარიანტი წარმოადგინა - არის ჯგუფი, რომელიც ინვესტორი გახდებაო. იმდენად ვენდობოდი, დავთანხმდი, თუმცა აქაც მოვტყუვდი - როგორც აღმოჩნდა, ეს თანხა ინვესტიცია კი არა, ჩვეულებრივი პროცენტიანი კრედიტი იყო, - თანხის რაოდენობა კი 5 მილიონი ლარი. ეს რომ გავიგე, ცხადია, უსიამოვნო საუბრები გვქონდა, ბევრი ვიდავეთ და საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ მე მარჯანიშვილზე არსებულ ჩოგბურთის აკადემიას და კორტებს დავიტოვებდი სრული მმართველობით, ხოლო დიღმის კორტებს მთლიანად ლანჩავა დაეპატრონებოდა. შევიმუშავეთ ჩოგბურთის განვითარების გეგმაც: მარჯანიშვილზე ბავშვთა ჩოგბურთის განვითარებას მივყოფდით ხელს, დიღომში კი უფროსები დახვეწდნენ ოსტატობას; მწვრთნელთა ნაწილიც ამის გამო გადავიდა დიღომში. სულ "იან ჰომერის" კორტებზე 8 მილიონი ლარია დახარჯული კრედიტის სახით და ორიოდ თვეში მათი დაფარვა უნდა დაიწყოს - გაერთიანებულ ქართულ ბანკში არის პროცენტები გადასახდი, იანვრიდან კი "ქართუ ბანკში" უნდა დაიწყოს გადახდა. ცხადია, ლანჩავას ასეთი შემოსავალი არ აქვს და კრედიტს ვერ დაფარავს, ამიტომ სურს პრეზიდენტობა - ამ სტატუსით ახალი სესხების აღება და ახლით ძველის დაფარვა სურს. მისი კამპანიის ძირითადი მიზანიც ეს არის! და ერთიც: იმ ფულით კორტებს მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა და კომპლექსი კვლავაც დაუსრულებელია; საკუთარ ფულს კი, ლანჩავა ერთ თეთრსაც არ დახარჯავს და არც დაუხარჯავს დღემდე. მე კი მაქვს დოკუმენტები, რომ თიკა ყავლაშვილზე პირადად ჩემი თანხა - 100 000 დოლარი მაქვს დახარჯული. ეს ჩოგბურთის განვითარებისთვის გაკეთდა.

სხვათა შორის, ბატონ ლანჩავას მოვთხოვე ფინანსური ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ მან ეს საბუთები არ წარმოადგინა. ამ დროს უკვე ადვოკატთა სხვა ჯგუფი მეხმარებოდა და ვცდილობდი, ბოლომდე შემესწავლა საქმე. ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს ასეთ როლში ვარ და საკუთარ დამსახურებებზე მიწევს საუბარი და თავის მართლება, მაგრამ შექმნილმა მდგომარეობამ მაიძულა ასე მოვქცეულიყავი.

ამის შემდეგ სიტყვა **ლალი ზერეკიძემ** აიღო.

- ვწუხვარ, რომ ვლადიმერ გოგლიძეს და არჩილ კეკელიას მიაჩნიათ, რომ ქართულ ჩოგბურთში არაფერი კეთდება - ისინი არიან მესამე და მეოთხე თაობის ჩოგბურთელები და თურმე მათ შემდეგ არავინ წამოსულა. აჩიკო ჩემი ახლო მეგობარია, მაგრამ ვერაფრით დავეთანხმები: ქართულ ჩოგბურთში აჩიკოს დიდი ჩოგბურთელობა არავინ იცის, მის შემდეგ კი დავით კაჭარავა, ვლადიმერ გაბრიჩიძე და ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გვყავდა; წელს გვყავს ორი ვაჟი, რომელიც თავის ასაკში მსოფლიოში ლიდერებში ირიცხება და ევროპის გუნდებში მოხვდა - გიორგი ხმიადაშვილი და პაატა კოპალეიშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა მსოფლიო ოცეულის წევრია, ეკა გორგოძე 16-წლამდე ევროპის პირველი ნომერია; ჩვენ ყოველწლიურად გვყავდა წარმატებული ჩოგბურთელები. ამის შემდეგ გვედავებიან, რომ მომავალ თაობას ვერ ზრდითო.

ჩოგბურთში მასობრიობა ძალიან რთული მისაღწევია - ძვირი სახეობაა და იმიტომ. მთელ მსოფლიოში უამრავი ქვეყანაა, სადაც დიდი ფული იხარჯება ჩოგბურთის განვითარებისთვის, მაგრამ უმაღლეს შედეგებს ვერ აღწევენ. ასეთია დიდი ბრიტანეთი, რომელთაც ქართველები წარმატებებით 14 და 16-წლამდელებში ვჯობივართ. ჩვენ ვერასდროს გავხდებით რუსეთი - იქ სახელმწიფომ წარმოუდგენლად დიდი ფული ჩადო ჩოგბურთში და ოლიგარქებიც უშურველად ხარჯავენ მილიონებს - შედეგიც ამიტომ აქვთ.

ისიც მსურს აღვნიშნო, რომ ყველა პრობლემის მიუხედავად, ჩვენში ბავშვების დენადობა არ წყდება და უადგილობის გამო ვერ ვიღებთ, - ჩოგბურთის აკადემიაში 170 ბავშვი ვარჯიშობს და ამჟამად მიღება შეწყვეტილი გვაქვს. ასე რომ, ოპონენტებს მეტი დაფიქრება და კორექტულობა მართებთ.

ირაკლი ლაბაძე: - გაკვირვებული და შეურაცხყოფილი ვარ - ის ხალხი, ვინც საქართველოს ნაკრები მეოთხე ჯგუფიდან პირველში გადაიყვანა, სხვაც ბევრი გაუკეთებია ქართული ჩოგბურთისთვის, უმოქმედობაში დაადანაშაულო. ამ წარმატებების დაუნახაობა არ შეიძლება. მე ვთვლი, რომ ვადამდელი არჩევნები არ უნდა გაიმართოს , - ყრილობამდე ერთი წელია დარჩენილი და თუკი ვინმეს ჩოგბურთის განვითარებისთვის ღირებული პროგრამის წარმოდგენა შეუძლია, იქ გამოიტანოს. ჩვენც ავირჩევთ - ვისიც უკეთესი იქნება, მხარს იმ პროგრამას დავუჭერთ.

ლადო ჩიხლაძე: - ვეთანხმები ირაკლის - ფედერაცია საკმაოდ კარგად მუშაობს სამი წელიწადია გასული არჩევნებიდან და უკმაყოფილების საბაბი არ გამაჩნია - ნაკრებისა თუ თითოეული ჩოგბურთელისთვის ყველაფერი კეთდება, რათა წარმატებით ვითამაშოთ.

**- და მაინც გაიმართება თუ არა ყრილოდა 31 ივლისს?**

ლეილა მესხი: - ამ საკითხზე ჩემი ადვოკატები მუშაობენ და კონკრეტულ პასუხს ორ-სამ დღეში მოგაწვდით. როგორც გითხარით, წესდება ბატონი ლანჩავას შედგენილია, სულაც აბსურდულად ჩანს ის მომენტი, როცა 85 წერვიდან ცხრის სურვილია საკმარისი, რათა რიგგარეშე ყრილობა მოიწვიო. სხვა ნიუანსებიც არის გასათვალისწინებელი და როცა პოზიციებს შევაჯერებთ, ინფორმაციასაც უმალ მოგაწვდით.

**- საინტერესოა, რიგგარეშე ყრილობის მოწვევის მოსურნეთაგან რამდენია გამგეობის წევრი? წევრია თუ არა ბატონი დავით ლანჩავაც და მეორე: თუ წევრები არიან, დაუყენებიათ თუ არა სხდომებზე ის საკითხები, რომლებზედაც დღეს აქვთ პრეტენზიები?**

- დავით ლანჩავა გამგეობაში, როგორც იურისტი ისე შევიყვანე. ხელისმომწერთაგან რამდენიმე გამგეობის წევრი კი არის, მაგრამ ამ საკითხებზე მათ ხმა არასდროს ამოუღიათ, გამგეობა კი ყოველ 3-4 თვეში ერთხელ იკრიბება. როგორც წესი, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა გარდა ნებისმიერ წევრს შეუძლია დააყენოს საკუთარი მოთხოვნა, მაგრამ, ვიმეორებ, მსგავსი პრეცედენტი სხდომაზე არ ყოფილა.

ამით საკმაოდ ხანგრძლივი პრესკონფერენცია დასრულდა, თუმცა, დამეთანხმებით, რომ პრობლემა არ მოგვარებულა - მთავარი ჯერ კიდევ წინ არის და როგორ განვითარდება მოვლენები, რთული სათქმელია. ქალბატონმა ლეილამ ოპოზიციას პასუხებთან ერთად სერიოზული ბრალდებები წაუყენა, რაზეც ალბათ ლანჩავას პასუხები ექნება, მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, ლანჩავა და მისი გუნდი არჩევნებამდე კომენტარს არ აკეთებს.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრენბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

# პირველი გამარჯვება



ბესიკ ჯანგავაძე

გშტაადიდან

**პირველი გამარჯვება მიღწეულია. ვაჟებს შორის ქართულმა წყვილმა გეორ-გიამ ჯგუფური ტურნირის შეხვედრაში ჰოლანდიური დუეტი ბოერსმა-რონესი დაამარცხა 2:1 (21:15, 18:21, 15:10). სამწუხაროდ ვაჟებს მხარი ვერ აუბეს ქალებმა. საქა-რთველო ორ სეტში დამარცხდა ბერძნულ წყვილთან (კარადასიოუ-არვანიტი) - 20:22, 19:21.**

გშტაადში დილიდან გადაუღებლად წვიმდა. ამის მიუხედავად, შეხვედრებს გულშემატკივრები არ აკლდა. ქომაგები ჩვენს ფრენბურთელებსაც გამოუჩნდა. არა, აქ მცხოვრები ქართველები არსად ჩანან. რატომღაც შვეიცარიელი გოგონები თავგამოდებით გულშემატკივრობდნენ გეორ-გიას.

ბრძოლაში ჯერ ქალები ჩაერთვნენ. წილიყრის შედეგად საქა-რთველო, გეორ-გიასთან შედარებით გაცილებით რთულ ჯგუფში მოხვდა. ჩვენი გოგონების მეტოქეები K ჯგუფში ბრაზილიელი დები **მარია კლარა და კარიოლინა სალგადოები** არიან, რომლებიც ზემოთხსენებულ ბერძნებთან ერთად ჯგუფის ფავორიტებად ითვლებიან. რაც შეეხება მესამე მეტოქეს, ავსტრიულ დუეტშიც დები, **შვაიგერები** არიან. ესენი კი თამამად შეიძლება აუტსაუდერებს მივაკუთნოთ. მარია კლარამ და კაროლინამ ავსტრიელები იოლად დაამარცხეს 2:0 (21:11, 21:15).

საქა-რთველოსთვის, როგორც ჩანს ბერძნების ეს წყვილი უხერხული მეტოქეა. აქამდე მათ ჩვენი გოგონები სამჯერ შეხვდრიან და სამივეჯერ მარცხი იგემეს. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რა უშეღავათო, საკმაოდ დაძაბული ბრძოლის გადატანა მოუწია საქა-რთველოს. ორივე სეტში მეტოქეები ორ ქულაზე მეტად არ დაწინაურებულან. თუ პირველ სეტში მუდმივად ბერძნები ლიდერობდნენ, მეორეში პირიქით საქა-რთველოს უპირატესობა გამოიკვეთა, თუმცა ორივე სეტი იმით გავდა ერთმანეთს, რომ დასკვნით ნაწილში ჩვენი მოწინააღმდეგეები უფრო ყურადღებით ირჯებოდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქა-რთველოს გამარჯვება ხელიდან გაუსხლტა. მომდევნო შეხვედრას დღეს ჩვენი ფრენბურთელები ბრაზილიელების მარია კლარასა და კაროლინას წინააღმდეგ გამართავენ.

საქა: "*მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ. მეტოქე ჩვენთვის ძნელად დასაძლევი გუნდია, მაგათთან თამაში ძალიან გვიჭირს. ორივე სეტში შეგვეძლო მოგება, მაგრამ შანსი ვერ გამოვიყენეთ. გადამწყვეტ მომენტში არ გაგვიმართლა.*

რთველო: "*მეოთხედ ვეთამაშეთ და ყველა წავაგეთ. არადა, ყოველთვის ანგარიშში წინ ვართ და ბოლოს ვაგებთ. ალბათ ცოტა მეტი კონცენტრაცია, გამოცდილება და რაც მთავარია, იღბალი გვჭირდება. უნდა აღვნიშნო, რომ ბერძნების დუეტი ჯგუფში ყველაზე ძლიერია*".

გეორ-გია Q ჯგუფში ამერიკელებთან **როჯერსთან** და **დალჰაუზერთან** ერთად ფავორიტია. ჰოლანდიელებთან მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ გეორ-გია კარგ ფორმაშია და როგორც მინიმუმ, ჯგუფური ეტაპის დაძლევა შუძლია. პირველი სეტში ჩვენმა ფრენბურთელებმა თითქმის უშეცდომოდ ითამაშეს და მოწინააღმდეგეს იოტის ოდენა შანსიც არ დაუტოვეს 21:15.

მეორე სეტიც ომახიანად დაიწყეს, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა ანგარიში თანაბარი იყო 8:8, ორჯერ უხეში შეცდომა დაუშვა გეორმა, რაც მოწინააღმდეგემ კარგად გამოიყენა, ანგარიშში დაწინაურდა და სეტის ბოლომდე სადავეები ხელიდან აღარ გაუშვია 21:18.

მესამე სეტის დასაწყისში გეორ-გიას თამაში ისევ არ მისდიოდა. მაშინ, როცა ანგარიში 8:5 გახდა და წაგების საფრთხე აშკარად დადგა, გიამ ყვირილი დაიწყო - მეწყვილეს რაღაცას განწირული ხმით უმტკიცებდა. ძნელი სათქმელია რა უთხრა, მაგრამ ფაქტია, ამან შედეგი გამოიღო. გეორ-გიამ მეტოქეს ზედიზედ ექვსი ქულა აართვა, დაწინაურდა 11:8 და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

გია: "*ასე არ უნდა გაგვჭირვებოდა. ჰოლანდიელთა ამ წყვილისთვის აქამდე არაერთელ მოგვიგია. სულ გეორის ბრალია. ასე იცის შუა თამაშში გაითიშება და თუ არ შემოულაწუნე, აზრზე ვერ მოდის. კიდე კარგი, დროზე შემოვუძახე თორემ კინაღამ წავაგეთ*".

გეორ: "*პირველ სეტში ყველაფერი კარგად გამოგვდიოდა. მერე რაღაც მოვიშალეთ. ორი უაზრო შეცდომა დავუშვი, რაც მეორე სეტის წაგებად დაგვიჯდა. მესამეში კი ძალების მობილიზება შევძელით.*"

ამ ჯგუფის მეორე შეხვედრაში ამერიკელებმა როჯერსმა და დალჰაუზერმა მასპინძლები გაბატჰულერი და ვენგერი დაამარცხეს 2:0 (21:12, 21:15). მეორე შეხვედრას გეორ-გია შვეიცარიელების წინააღმდეგ გამართავს. თამაში ცენტრალურ კორტზე ჩატარდება და შესაძლოა, ევროსპორტმა პირდაპირ ეთერში უჩვენოს. მატჩი თბილისის დროით 12 საათზეა დანიშნული.



ავტორის ფოტო

## ახალ ამბები




# ჯერ ყადაღა, მერე სარჩელი

სპორტის აკადემიის იურისტმა **იმედა ხუციშვილმა** გუშინ "ლელოს" კორესპონდენტს უთხრა: "*სასამართლოში შევიტანეთ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ მოვითხოვთ იმ დოკუმენტის მოქმედების შეჩერებას, რომლის ძალითაც იგეგმება აკადემიის ინტეგრაცია ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტთან. სხვათა შორის, ოფიციალური დოკუმენტი ამის თაობაზე, ჩვენამდე დღემდე არ მოსულა. სარჩელში ესეც აისახება. კანონით განათლების სამინისტროს უნდა წარედგინა მთავრობაში წინადადება ინტეგრაციასთან დაკავშირებით, რაც არ შესრულებულა. წარდგენას კი თავისი აუცილებელი წინაპირობები გააჩნია. უპირველესია სასურველი და ნებაყოფლობითობის პრინციპი. კანონი მოითხოს აგრეთვე ინტეგრაციის მიზანშეწონილობის, კრიტერიუმების დაცვას, პროფილის მონათესაობას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და ა.შ.*

*მოკლედ, მოვითხოვთ სადავო აქტზე ყადალის დადებას. პასუხი სასამართლოდან 24 საათის განმავლობაში უნდა მივიღოთ . შემდგომი პროცესი ძირითადი სარჩელის შეტანაა. აქ კი განხილვის ვადა 6 თვითაა განსაზღვრული*".

# თურქი აკადემიელები მინისტრს მიმართავენ

გუშინ, რედაქციაში ფაქსით თურქი სტუდენტების ვრცელი წერილი მივიღეთ სპორტის აკადემიასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად ეს არის მიმართვა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის **გიორგი გაბაშვილის** სახელზე. არ ვიცით, ავტორებმა **ბაირამ ჩემმა** და **მეჰმედ არიფ ორენმა** ეს მიმართვა მინისტრს გადაუგზავნეს თუ არა. ჩვენ ყურადღებას მთავარ საკითხებზე გავამახვილებთ მხოლოდ.

თურქი სტუდენტები წერენ, რომ მათ ქვეყანაში სათანადო პროპაგანდის შემდეგ, ისინი სასწავლებლად ჩამოვიდნენ საქართველოში მსოფლიოში აღიარებული სპორტული პროფილის უმაღლეს სასწავლებელში პროფესიის დასაუფლებლად. "*სარეკლამო რგოლიდან ვიცოდით, რომ აკადემიას გააჩნია უნიკალური კაბინეტ-ლაბორატორები, 42 ათას კვ მეტრზე განლაგებული სასწავლო და სპორტული ობიექტები. ჩვენთვის დიდი სტიმული იყო ის, რომ აკადემიის 150-ზე მეტი კურსდამთავრებული თანამემამულე, ჩვენს ქვეყანაში წარმატებული სპეციალისტია. თავზარდამცემი იყო ცნობა აკადემიის სტატუსის შეცვლისა და ინტეგრაციის შესახებ. სპორტის აკადემიის დიპლომი რომ მთელ მსოფლიოშია აღიარებული, ყველას კარგად მოეხსენება. აღიარებას კი პრესტიჟი უდევს საფუძვლად. ახლა ჩვენი ბედიც გაურკვეველია, შელახულია ჩვენი უფლებები, დამსხვრეულია გეგმები და ოცნება. აღარც კი ვიცით, რა მოვიმოქმედოთ. რა აზრი აქვს სწავლის გაგრძელებას, თუ ჩვენი არჩევანი, შეთანხმების დარღვევით უჩვენოდ შეიცვალა. ჩვენ აკადემიის დიპლომი გვინდოდა და არა, პედაგოგიური უნივერსიტეტის, ასეთ უნივერსიტეტში თურქეთშიც ვისწავლიდით*"...

## თავისუფალი ჭიდაობა

ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი

# ვერცხლი და რამდენი ბრინჯაო?

გუშინ ვარშავაში დაწყებულ ტურნირში საქართველოს ნაკრები წარმატებით ჩაება - პირველ დღეს ჩვენებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ფინალურ ორთაბრძოლაში **დავით ხუციშვილს** (58) მოეცარა ხელი, მესამეზე **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (50) გავიდა. გუშინვე ბრინჯაოსთვის **გიორგი ჩიტაშვილსაც** (85) უნდა ეჭიდავა, მაგრამ პოლონელებს ამ წონაში საბოლოო შედეგების გამოქვეყნება დაავიწყდათ.

ხუციშვილმა ფინალი რუს **ადამ იაკუბოვთან** პირწმინდად, ორი სეტის ჯამში 0:7 დათმო, მანამ კი ჩინებულად იჭიდავა - სომეხ სევაკ სუკიასიანს დამატებით დროში სძლია, ებრაელ შამაი რაფაილოვმა კი, რაც პირველი პერიოდი 0:8 წააგო, საერთოდ შეწყვიტა წინააღმდეგობა. მესამე წრეში ჩვენებურმა ძირითადში პირწმინდად დაჩაგრა ბერძენი მარკოს თეოდორიდისი, რომელმაც მანამ მასპინძელი გამოთიშა ტურნირს. ნახევარფინალში აზერბაიჯანელ იბრაჰიმ მუხტაროვს დამატებითში სძლია, ფინალში კი ვერაფერი გააწყო რუსთან.

**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (50) პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი მომავალ ფინალისტთან, უკრაინელ არსენ იედიჰაროვთან დამატებითში წააგო. საინტერესოა, რომ ბოლო ქულის გამოისობით - პერიოდი 1:1 დამთავრდა. ამის შემდეგ მან თავისი შანსი სანუგეშოში იპოვა - მოლდოველ დუმიტრუ დრეტკარუსა და პოლონელთა პირველ ნომერ რაფალ სტატკიევიჩს ძირითადში მოუთავა ხელი და ბრინჯაოც ირგუნა.

**გიორგი ჩიტაშვილი** (85) ნახევარფინალამდე უპრობლემოდ მივიდა - ბერძენ ალექსანდროს ბოუნტაგკიდისს და რუმინელ მიჰაი ტურკულეუნუს წარმატების ოდნავი შანსიც არ დაუტოვა, მერე კი რუს ანდრეი ვალიევთან დამატებითში დამარცხდა. სამწუხაროდ, სანუგეშოში მისი გამოსვლის შესახებ და, საერთოდ, ამ წონაში განვითარებულ მოვლენებზე ჩემპიონატის საიტმა არაფერი გვაუწყა. სანუგეშოს ფინალში იგი თურქ მუსტაფა ოზდემირს ხვდებოდა.

სამწუხაროდ, ადრევე გავარდა **გიორგი გაბისიანი** (69) და 22 მონაწილეს შორის მე-14 ადგილზე გავიდა. გუშინ **ლაშა ლომთაძესაც** (42) უნდა ეჭიდავა, მაგრამ იგი ოქმებში საერთოდ არაა შეყვანილი.

დღეს ტურნირში მორიგი ქართული ხუთეული ჩაებმება - **ავთანდილ ჯიოევი** (46), **ვასილ მამულაშვილი** (54), **გიორგი მელქაძე** (63), **დავით მარსაგიშვილი** (76) და **თორნიკე ხიდეშელი** (100).

ირაკლი **თავაძე**

## ხელბურთი

ევროთასები

# თელავს ლიტვა, თბილისს სლოვაკეთი

ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბ-ბინაში გუშინ, გაიმართა ევროთასების 2007-2008 წლის სეზონის წილისყრა. როგორც იცით, წლეულს, ევროპაში საქართველოს წარმოადგენენ ქვეყნის ჩემპიონი სტუ-"თელავი" და ვერცხლის პრიზიორი "თბილისი". რაკილა, ჩემპიონთა ლიგაზე მოსახვედრად საკმარისი კოეფიციენტი არ გვაქვს, ორივე ქართული კლუბი, რანგით მეორე ტურნირზე, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე ითამაშებს.

პირველ ეტაპზე სტუ-"თელავის" მეტოქე იქნება ლიტვის "ვილნიუსი", ხოლო "თბილისი" სლოვაკურ "პოვაჟსკა ბისტრიცას" დაუპირისპირდება. გამარჯვებულის ვინაობას ორი მატჩის ჯამი გაარკვევს. პირველი შეხვედრები 1-2 სექტემბერს შედგება, საპასუხო კი 8-9 სექტემბერს.

გუშინვე, წილისყრის შედეგებზე კომენტარისთვის, ჩვენი კლუბების მთავარ მწვრთნელებს დავუკავშირდით.

ირაკლი კეკელიძე, **სტუ-"თელავი"**: - სიმართლე გითხრათ, "ვილნიუსის" შესახებ ჯერ არაფერი ვიცი, მაგრამ მალე შევუდგებით მეტოქის შესწავლას. ამ დღეებში გადავწყვეტთ, კვლავ ორივე მატჩს სტუმრად ვითამაშებთ თუ არა. სეზონის დასრულების შემდეგ, თითქმის არ დაგვისვენია, გუნდი აგრძელებს ვარჯიშს და შევეცდებით, ევროთასებს მაქსიმალურად კარგ ფორმაში შევხვდეთ...

მამუკა მუავანაძე, **"თბილისი"**: - "პოვაჟსკა ბისტრიცას" შესახებ, საკმაოდ მწირი ინფორმაცია მაქვს. თუმცა, არა მგონია, რომ იგი გადაულახავი ბარიერი იყოს. ორი მატჩში ჯამში მისი დამარცხება რეალურია და ამიტომ, 90 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ საშინაო მატჩს აუცილებლად საქართველოში ჩავატარებთ. პირველი შეხვედრა სტუმრად გვაქვს. ახლა ურეკში ვართ შეკრებაზე, საიდანაც 28 ივლისს დავბრუნდებით, მერე კი თურქეთს მივაშურებთ შეკრებისა და საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად.

**კობა ხატისაშვილი**

## კალათბურთი

კადეტთა ევროპის ჩემპიონატი

**სერბეთი - საქართველო 100:48**

31:10, 25:14, 27:8, 25:16

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 17 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| მაღლაკელიძე | 19 | 4 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ჩიკვილაძე | 23 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 2 |
| შენგელია | 18 | 3 | 3 | 0 | 2 | 0 | 4 |
| თავართქილაძე | 15 | 8 | 1 | 0 | 2 | 0 | 3 |
| ბოქოლიშვილი | 16 | 9 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 |
| იოსელიანი | 15 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 3 |
| ხეთაგური | 6 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჭოხონელიძე | 9 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ელანიძე | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 2 |
| დვალიშვილი | 26 | 9 | 1 | 0 | 2 | 1 | 1 |
| სულაბერიძე | 11 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |

ისრაელი - ესპანეთი 44:69, საფრანგეთი - იტალია 58:45

სერბეთი 3/0, ესპანეთი 3/0, საფრანგეთი 2/1, იტალია 1/2, ისრაელი 0/3, საქართველო 0/3

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა პროგრამა მინიმუმი უკვე შეასრულა და A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა. ახლა გუნდის მთავარი ამოცანა დარჩენილ თამაშებში გამოცდილების მიღება და შეძლებისდაგვარად კარგი თამაშია. დღეს ისრაელს ვეთამაშებით.

### პეკინის შესარჩევი

ფრენბურთი. გშტაადში გაიმართა პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებისთვის შესარჩევი ტურნირის წილისყრა. საქართველოს ვაჟთა ეროვნული ნაკრები შეჯიბრში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება. ჩვენ ფრენბურთელებს მეტოქედ რუმინეთის ნაკრები ერგო. პირველი შეხვედრა თბილისში 2 სექტემბერს გაიმართება, საპასუხო კი რუმინეთში, ერთი კვირის თავზე.

## ველოსპორტი

დოპინგსკანდალის მოლოდინში

# მაკქუეიდს რასმუსენის ჩემპიონობა არ სურს

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი** ამბობს, რომ ველოსპორტისთვის ძალიან ცუდი იქნება, თუ მიმდინარე ტურ დე ფრანსს მისი ახლანდელი ლიდერი, დანიელი **მიქაელ რასმუსენი** მოიგებს.

*"მის შესახებ სკანდალია ატეხილი. მას დანიის ველოსპორტის კავშირი დოპინგკონტროლისგან თავის არიდებაში ადანაშაულებს, რაც დოპინგზე ჩავარდნის ტოლფასია. ჰოდა, ვფიქრობ, რომ სპორტისთვის უკეთესი იქნება, თუ რბოლას სულ სხვა ვინმე მოიგებს. ჩვენი სპორტი ისედაც დაილალა დოპინგსკანდალებით და ახლა ახალი სკანდალი ნამდვილად აღარ გვჭირდება"*, - ამბობს მაკქუეიდი, თუმცა იქვე დასძენს, რომ არსებული მასალების მიხედვით, რასმუსენს დოპინგსაწინააღმდეგო წესები არ დაურღვევია.

შეგახსენებთ, რომ რასმუსენმა დანიის ველოსპორტის კავშირისგან (UCI) ორჯერ მიიღო გაფრთხილება იმის გამო, რომ დოპინგკონტროლისთვის არ უცნობებია, თუ სად აპირებდა ვარჯიშს. აღნიშნულის გამო, დანიის ველოკავშირმა ველომრბოლი არ მიიწვია ნაკრებში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატსა და პეკინის ოლიმპიადაზე გამოვა.

რასმუსენმა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირისგან გაფრთხილება მიიღო და თუ მას მესამედაც გააფრთხილებენ, მაშინ ეს დოპინგზე ჩავარდნის ტოლფასად აღიქმება, რაც დისკვალიფიკაციით დასჯას ექვემდებარება.

არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომლის გამოც, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი დანიელი ველომრბოლის წინააღმდეგ გამოძიებას იწყებს. ლაპარაკია ამერიკელი, ყოფილი მაუნტინბაიკერის, **უიტნი რიჩარდსის** ბრალდებაზე, რომლის მიხედვითაც, ხუთი წლის წინათ, რასმუსენმა ამ უკანასკნელს იტალიაში სისხლის დოპინგის მასალების შეტანაში შემწეობა სთხოვა.

ეს ინფორმაცია რიჩარდსმა ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა UCI-ს დოპინგსაწინააღმდეგო ოფისის მენეჯერ **ენ გრიპერს**. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, UCI-მ სპეციალური თათბირი ჩაატარა, რომლის მიზანი საქმის ობიექტურად გამოძიება და ინფორმაციის სისწორის გადამოწმებაა. მაკქუეიდის თქმით, რეალურ ბრალდებათა გარეშე, ამ ინფორმაციას არანაირი ღირებულება არ აქვს და მისი გამოყენება შეუძლებელი იქნება.

რიჩარდსი ირწმუნება, რომ 2002 წლის მარტში, როცა ის იტალიაში გამგზავრებას აპირებდა, რასმუსენმა სთხოვა, რომ თან მისი ველოსპორტული ფეხსაცმელიც წაეღო. რიჩარდსი დათანხმებულა, მაგრამ როცა ყუთი ცნობისმოყვარეობის გამო გაუხსნია, იქ სისხლის შემცვლელები უნახეს. იგი ირწმუნება, რომ პაკეტებში არსებული სითხე კანალიზაციაში ჩარეცხა.




მიქაელ რასმუსენი

რიჩარდსი ამბობს, რომ კავშირისთვის წერილის მიწერა და ყველაფრის მოყოლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც რასმუსენმა ველოსპორტის ფანებს განუცხადა, შეგიძლიათ, მენდოთ, რომ მართალი ვარო.

დაბოლოს, გუშინ ცნობილი გახდა, რომ დანიის ოლიმპიური კომიტეტი მხარს უჭერს ქვეყნის ველოსპორტის კავშირის გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ რასმუსენი არ იქნას შეყვანილი პეკინის ოლიმპიადაზე წამსვლელ ნაკრებში.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ჩოგბურთი

### რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7290 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5455 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3245 |
| 4(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3175 |
| 5(4). ენდი როდიკი (აშშ) | 3130 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2770 |
| 7(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2085 |
| 8(8). რიშარ გასკე (საფ) | 2085 |
| 9(11). ტომი ჰაასი (გერ) | 2035 |
| 10(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1995 |
| 11(10). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1975 |
| 12(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1940 |
| 13(13). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1890 |
| 14(14). ენდი მარეი (ბრიტ) | 1865 |
| 15(16). გილერმო კანიასი (არგ) | 1607 |
| 16(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1535 |
| 17(17). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1525 |
| 18(19). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 1405 |
| 19(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1370 |
| 20(20). კარლოს მოია (ესპ) | 1295 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 936 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 801 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 561 |
| 4(4). ენდი როდიკი (აშშ) | 329 |
| 5(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 325 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 293 |
| 7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 280 |
| 8(9). დავიდ ფერერი (ესპ) | 257 |
| 8(8). რიშარ გასკე (საფ) | 257 |
| 10(10). მიხაილ იუჟნი (რუს) | 252 |
| 11(14). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 244 |
| 12(11). გილერმო კანიასი (არგ) | 241 |
| 12(11). ტომი რობრედო (ესპ) | 241 |
| 14(13). ტომი ჰაასი (გერ) | 240 |
| 15(15). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 227 |
| 16(19). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 221 |
| 17(18). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 220 |
| 18(16). ენდი მარეი (ბრიტ) | 214 |
| 19(17). კარლოს მოია (ესპ) | 212 |
| 20(20). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 186 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 153 685 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 4 059 820 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 924 850 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 985 180 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 938 325 |
| 7. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 878 470 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 869 420 |
| 8. მიხაილ იუჟნი (რუს) | 817 890 |
| 9. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 790 795 |
| 10. რიშარ გასკე (საფ) | 756 890 |
| 11. გილერმო კანიასი (არგ) | 727 415 |
| 12. ტომი ჰაასი (გერ) | 690 035 |
| 13. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 684 265 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპ) | 640 302 |
| 16. ბობ ბრაიანი (აშშ) | 638 960 |
| 16. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 638 960 |
| 14. მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 631 155 |
| 18. ტომი რობრედო (ესპ) | 627 347 |
| 19. ფაბრის სანტორო (საფ) | 561 980 |
| 20. ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 559 850 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 4457 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3678 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3241 |
| 4(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2978 |
| 5(5). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2898 |
| 6(6). ამელი მორესმო (საფ) | 2424 |
| 7(8). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2326 |
| 8(7). სერენა უილიამსი (აშშ) | 2325 |
| 9(9). ნადია პეტროვა (რუს) | 2002 |
| 10(10). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1973 |
| 11(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 1875 |
| 12(12). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1857 |
| 13(13). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1845 |
| 14(14). დინარა საფინა (რუს) | 1742 |
| 15(15). ელენა დემენტიევა (რუს) | 1699 |
| 16(17). ვენუს უილიამსი (აშშ) | 1655 |
| 17(16). პატი შნიდერი (შვეიც) | 1651 |
| 18(18). შაარ პეერი (ისრ) | 1529 |
| 19(19). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1410 |
| 20(20). ნა ლი (ჩინ) | 1159 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 3245 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2990 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2431 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2161 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 6. მარია შარაპოვა (რუს) | 1785 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1635 |
| 8. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1630 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1463 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1421 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1420 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 1406 |
| 13. დინარა საფინა (რუს) | 1336 |
| 14. ნადია პეტროვა (რუს) | 1288 |
| 15. შაარ პეერი (ისრ) | 1222 |
| 16. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1186 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიც) | 1014 |
| 18. ელენა დემენტიევა (რუს) | 966 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 940 |
| 20. ნა ლი (ჩინ) | 937 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 2 534 430 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 799 034 |
| 3. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1 481 448 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 381 270 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 307 255 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1 051 574 |
| 7. მარია შარაპოვა (რუს) | 1 001 652 |
| 8. მარიონ ბარტოლი (საფ) | 904 081 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 767 565 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 726 232 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 632 632 |
| 12. მარა სანტანჯელო (იტა) | 599 591 |
| 13. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 573 156 |
| 14. კარა ბლეკი (ზიმ) | 563 464 |
| 15. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 546 236 |
| 16. შაარ პეერი (ისრ) | 541 780 |
| 17. ამელი მორესმო (საფ) | 539 284 |
| 18. სამანტა სტოსური (ავტრა) | 530 366 |
| 19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 509 889 |
| 20. ნადია პეტროვა (რუს) | 492 906 |

### ტურნირები

**ATP**

**ავსტრიის ღია**

კიტცბუელი (ავსტრია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 786 250 ევრო

**I წრე**

ოლივიე პატიენსი (საფ)-ირჟი ჰაიეკი (ჩეხ) 6:3, 6:2; ლუის ორნა (პერ)-ჯერემი შარდი (საფ) 7:5, 6:3; რაინერ აიტცინგერი (ავსტრია)-მაქსი მირნი (ბლრ) 6:4, 3:6, 7:6 (3); კრისტოფ როხუსი (ბელგია)-კრის გუჩიონე (ავსტრა) 7:6 (6), 7:6 (10); დიეგო ჰარტფილდი (არგ)-მარტინ ფიშერი (ავსტრია) 5:7, 6:4, 6:2; პოლ კაპდევილე (ჩილ)-უგო არმანდო (აშშ) 6:0, 6:3.

**Tennis Championships**

ინდიანაპოლისი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 525 000 დოლარი

**I წრე**

მიხაელ ბერერი (გერ)-რობი ჯინეპრი (აშშ, 7) 3:6, 6:2, 6:1; ფრანკ დანჩევიჩი (კან)-ბენჯამინ ბეკერი (გერ, 8) 6:4, 6:3; სემ კერი (აშშ)-ჟულიან ბენეტო (საფ) 7:6 (6), 6:1; ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)-ამერ დელიჩი (აშშ) 7:5, 7:6 (5); ევგენი კოროლიოვი (რუს)-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:2, 6:4.

**ხორვატიის ღია**

უმაგი (ჰორვატია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**I წრე**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:1, 6:3; ჟილ სიმონი (საფ)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 2) 6:2, 2:6, 6:3; კარლოს ბერლოკი (არგ)-მაქსიმო გონსალესი (არგ) 6:3, 6:4; რუბენ რამირეს იდალგო (ესპ)-გასტონ გაუდიო (არგ) 6:0, 6:4; პერე რიბა (ესპ)-ლუკა ბელიჩი (ხორ) 6:2, 2:6, 6:4; მარინ ჩილიჩი (ხორ)-მატიო მონკური (საფ) 3:6, 6:4, 6:1.

**WTA**

**Bank of the West Classic**

სტენფორდი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**I წრე**

კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 7)-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:3, 6:4; შუაი პენგი (ჩინ)-ელენა ბოვინა (რუს) 6:3, 6:4; ლილია ოსტერლო (აშშ)-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 7:5; მეილინ ტუ (აშშ)-მეგან შონესი (აშშ) 7:6 (3), 6:1; ელენი დანილიდუ (საბ)-ამბერ ლიუ (აშშ) 7:5, 6:1.

**Gastein Ladies**

ბად გაშტაინი (ავსტრია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**I წრე**

ედინა გალოვიტცი (რუმ)-არავან რეზაი (საფ, 5) 3:6, 6:3, 6:3; ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)-ნიკა ოჟეგოვიჩი (ხორ) 6:2, 6:3; ევა ბირნეროვა (ჩეხ)-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 7:6 (5), 6:3.

## TV სპორტი

**25 ივლისი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საერთაშორისო ტურნირი - Premier League Asia Trophy 2007. პორტსმუთი-ფულჰემი. ჩინეთი.
14:05 საერთაშორისო ტურნირი - Premier League Asia Trophy 2007. ლივერპული-საუტ ჩაინა (ჩინეთი). ჩინეთი.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-შენჟენი (ჩინეთი).
17:50 Premiere Cup 2007. 1/2 ფინალი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.
20:55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ზალცბურგი-არსენალი (LIVE).
22:55 გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:23 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-დორტმუნდი.
09:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:17 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ფიორენტინა.
11:05 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
11:33 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. ნიურნბერგი-შალკე.
13:18 აფროსნობა. ამერიკის თასი.
13:47 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ამერსფორტი. ჰოლანდია.
15:50 სპორტის სამყარო.
16:17 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
18:06 სპორტდოსიე.
18:32 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვილიარეალი.
20:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:37 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. დეტროიტი-სან ხოსე.
22:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:25 სპორტის ისტორია.
22:30 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. შტუტგარტი-ბაიერნი (LIVE).
00:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:38 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1973 წელი. სანდერლენდი-ლიდსი.
02:27 ფეხბურთი. გერმანიის ლიგის თასი. ნიურნბერგი-შალკე.
04:14 აფროსნობა. ამერიკის თასი.
04:43 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
06:33 სპორტის ისტორია.
06:41 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. გერმანია-საბერძნეთი. ავსტრია.
11:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ესპანეთი-საფრანგეთი. ავსტრია.
12:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი (LIVE).
12:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი.
13:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი (LIVE).
19:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. II დღე. შვეიცარია.
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. II დღე. შვეიცარია (LIVE).
21:00 აფროსნობა.
22:00 მულტისპორტი.
22:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:10 მულტისპორტი.
22:15 გოლფი. US PGA-ის ტური.
23:15 გოლფ-კლუბი.
23:20 აფროსნობა. როლექსის თასი.
23:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი
23:55 მულტისპორტი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი.
01:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალი. ავსტრია.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი.
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალები. ავსტრია.
14:00 ახალი ამბები.
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. II დღე. შვეიცარია (LIVE).
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. II დღე. შვეიცარია (LIVE).
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/2 ფინალები. ავსტრია.
18:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სერფინგი.
21:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მულტისპორტი.
22:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი.
23:00 ტიმბერსპორტი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. შვეიცარია.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| პორტსმუთი-ფულჰემი | 1:0 |
| საუთ ჩაინა-ლივერპული | 1:3 |
| კიოლნი-ჰანოვერი | 1:3 |
| ლილი-შარლერუა | 5:0 |
| მონაკო-არისი | 1:0 |
| ემენი-ტვენტე | 0:3 |
| გრონინგენი-დორდრეხტი | 1:2 |
| ჰარენვენი-ჰალანი | 0:0 |
| გოუ ეჰედ იგლზი-ჰაალვიკი | 2:2 |
| ჩესტერფილდი-უენსდი | 0:2 |
| დარლინგტონი-მიდლსბრო | 0:2 |
| დანდი იუნ-მოზერველი | 1:2 |
| ორლანდო-ბოტენაემი | 1:2 |
| კილმარნოკი-ნოტინგემი | 1:3 |
| ლეიტონი-ვესტ ჰემი | 1:1 |
| პარტიკი-ლესტერი | 0:2 |
| რეინჯერსი-აიაქსი | 1:1 |
| ინტერი-პარტიზანი | 1:0 |
| ლოკომოტივი (ს)-ვალენსია | 0:0 |
| **გერმანიის ლიგის თასი** | |
| ნიურნბერგი-შალკე | 2:4 |
| **ისლანდია** | |
| ვალური-ფილკირი | 2:4 |
| **ევრო 2007** | |
| **Under 19. 1/2 ფინალი** | |
| გერმანია-საბერძნეთი | 2:3 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 0:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ინდიანაპოლისი | |
|---|---|
| გაბაშვილი-რამი | 7:5, 3:6, 6:4 |
| გოლდსტეინი-კენდრიკი | 6:4, 6:4 |
| კუნიცინი-ხირალდო | 6:2, 1:6, 7:5 |
| მონფილსი-მელო | 4:6, 4:6 |
| ტურსუნოვი-რასელი | 6:3, 7:5 |
| ფიში-სპეიდი | 2:6, 7:5, 7:5 |
| ლი-იანგი | 6:2, 6:4 |
| **ATP. კიტცბუელი** | |
| ბრჟეჟიჩკი-ფონინი | 4:6, 3:6 |
| კუბეკი-კოელერერი | 4:6, 0:6 |
| ფ. ლოპესი-სეპი | 7:5, 0:6, 6:7 |
| მარაში-პეია | 3:6, 6:7 |
| ნავარო პასტორი-ეკონომიდისი | 6:4, 6:2 |
| **ATP. უმაგი** | |
| აკასუსო-როჟე ვასელენი | 6:2, 6:0 |
| ვოლანდრი-დლუჰი | 6:2, 6:1 |
| კანიასი-კარანუშიჩი | 6:3, 6:3 |
| მანტიია-ჰაასე | 6:2, 4:6, 4:6 |
| მოია-ვავრინკა | 6:3, 6:2 |
| სერა-ზვერევი | 0:6, 5:7 |
| ტიპსარევიჩი-ჰანესკუ | 0:6, 0:6 |
| ტროიცკი-რუევსკი | 6:3, 1:6, 6:4 |
| ფერერი-მონტანიესი | 6:2, 6:2 |
| **WTA. ბად გაშტეინი** | |
| კნაპი-ჰოხი | 6:2, 6:3 |
| კანეპი-ოლარუ | 6:2, 4:6, 7:5 |
| **WTA. სტენფორდი** | |
| გოვორცოვა-კასტანიო | 6:4, 6:2 |
| აზარენკა-კირილენკო | 6:3, 5:7, 4:6 |
| ვაკულენკო-შვედოვა | 6:3, 3:6, 2:6 |



ანტონიო მაკდაისი

NBA. ახალი ამბები

# მაკდაიესი, ფრენკი და მეისონი

ბოლო 5 წლის განმავლობაში, "დეტროიტი" აღმოსავლეთში მოგება-წაგების საუკეთესო მაჩვენებლით იწონებს თავს, თუმცა წელეულს, კონფერენციის ფინალში, მიჩიგანელები **ლებრონ ჯეიმსის** "კლივლენდთან" დამარცხდნენ და გუნდის ბოსებმაც შემადგენლობის თავისუფალი აგენტებით გაძლიერება სეზონისწინა უმთავრეს პრიორიტეტად დაასახელეს.

"პისტონზს" ჯერ არცერთი ხმაურიანი ტრანსფერი არ განუხორციელებია და ფანებისთვის ბობოლა ახალწვეულიც არ წარუდგენია, თუმცა გუნდმა ჯერ **ჩონსი ბილაპსი** შეინარჩუნა, ახლა კი, მსგავსი ოპერაცია **ანტონიო მაკდაიესთან** მიმართებაშიც გააკეთა.

"დეტროიტმა" გამოცდილ მძიმე ფორვარდს ხელშეკრულება 2 წლით გაუხანგრძლივა, კონტრაქტის ფინანსური მხარე კი არ გამხელილა.

მაკდაიესმა ბოლო რეგულარულში 82 შეხვედრა ჩაატარა და გუნდის საუკეთესო სათადარიგოც იყო.

*"მიხარია, რომ კარიერას "დეტროიტში" გავაგრძელებ. რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება კი მქონდა, მაგრამ ჩემი მთავარი პრიორიტეტი ყოველთვის "პისტონზი" იყო. ვიმედოვნებ, რომ დამდეგ სეზონში კვლავ ჩემპიონობის უმთავრეს მაძიებელთა შორის ვიქნებით"*, - განაცხადა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მაკდაიესმა.

მოთამაშემ შარშანდელ რეგულარულში საშუალოდ 8.1 ქულა (თამაშიდან სროლების 53 პროცენტი გამოიყენა) და 6.1 მოხსნა დააგროვა. ანტონიო, რომელიც მოედანზე ერთ მატჩში 21 წუთს ატარებდა, სეზონის ბოლოს საუკეთესო სათადარიგოს გამოსავლენ გამოკითხვაში მეექვსე ადგილზე გავიდა.

მაკდაიესმა 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა, რის მერეც, ერთი პირობა, კარიერის დასრულებაც კი ჰქონდა გადაწყვეტილი. ამისი მიზეზი ხშირი ტრავმიანობა იყო, რაც იმაში აისახა, რომ მან 2002-2004 წლებში, ჯამში მხოლოდ 52 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

*"ჩვენი მიზანი ბილაპსისა და მაკდაიესის შენარჩუნება იყო. ახლა, როდესაც ორივე დავიტოვეთ, თავისუფალ აგენტებზეც გადავერთვებით"*, - ამბობს "დეტროიტის" საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტი, ლეგენდარული **ჯო დუმარსი.**

2004-ში მაკდაიესი "პისტონზთან" ერთად ჩემპიონი გახდა (ფინალში "ლეიკერსს" 4:1 მოუგო), მომდევნო სუპერფინალში კი გუნდი "სან ანტონიოსთან" 3:4 დამარცხდა.

■ ■ ■

"ნიუ ჯერსი ნეტსმა" მთავარ მწვრთნელად **ლოურენს ფრენკი** დაიტოვა.

მას შემდეგ, რაც ფრენკი "ნიუ ჯერსის" მთავარი მწვრთნელი გახდა, ისტრუზერფორდელებს ფლეი ოფი არ გაუცდენიათ, ანუ ამ ახალგაზრდა სპეციალისტმა გუნდი ოთხივეჯერ კონფერენციის რვა საუკეთესოში მოახვედრა.

შარშანდელი რეგულარული "ნეტსმა" 41 მოგებითა და ამდენივე წაგებით დაასრულა, რის მერეც გუნდმა ფლეი ოფის პირველ წრეში **კრის ბოშის** "რეპტორზი" დაამარცხა. არადა, "ნიუ ჯერსის" მეტოქეს, საკუთარი მოედნის უპირატესობა ჰქონდა. მეორე რაუნდში **ჯეისონ კიდის, ვინს კარტერისა** და **რიჩარდ ჯეფერსონის** საძმოს "კლივლენდმა" აჯობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიგის ყველაზე ახალგაზრდა თავკაცის, 36 წლის ფრენკის ხელში, "ნეტსი" მეორე წრეს ერთხელაც ვერ გასცდა.

ფრენკმა გუნდს პირობა წაუყენა, რომლის თანახმადაც, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩებოდა "ნიუ ჯერსიში", თუ ხელმძღვანელები კიდის, კარტერისა და ჯეფერსონის მრავალწლიანი კონტრაქტებით შენარჩუნებას მოახერხებდნენ.

*"ამ გუნდთან ერთად სუპერფინალში გასვლაც რეალურია. უბრალოდ, ხანგრძლივი სეზონისას მაქსიმალურად უნდა ავირიდოთ ტრავმები და ფლეი ოფს ჯანმრთელები შევხვდეთ"*, - მიაჩნია ლოურენსს.

ფრენკი "ნიუ ჯერსის" სათავეში 2003-2004 წლების რეგულარულის შუაწელიდან უდგას. მან გუნდს 157 გამარჯვება მოაპოვებინა (129 წაგების პარალელურად) და ამ მაჩვენებლით "ნეტსის" ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელია. ფლეი ოფში მისი შედეგი 18 მოგება და 20 წაგებაა.

*"ლოურენსი არაჩვეულებრივი სპეციალისტი და ძალიან კარგი ადამიანია. გვჯერა, რომ მასთან ერთად "ნიუ ჯერსი", მხოლოდ და მხოლოდ, წინ წავა და ფლეი ოფში გასვლაც ჩვენი მაქსიმუმი აღარ იქნება"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ფრენკის მთავარ მწვრთნელად დატოვებას, "ნიუ ჯერსის" პრეზიდენტმა **როდ ტორნმა.**

■ ■ ■

"მილუოკი ბაქსში" **დესმონდ მეისონი** დაბრუნდა. უნივერსალმა მსროლელმა ამ კლუბთან 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობია.

მეისონი "ბაქსში" მეორედ გადადის. მისი პირველი მილუოკური ეპოპეა წარმატებული იყო - 2003 წლის თებერვლიდან 2005/06 წლების რეგულარულის ბოლომდე, დესმონდმა მონაწილეობა 190 შეხვედრაში მიიღო და საშუალოდ 15.7 ქულასა და 4.5 მოხსნას აგროვებდა.

"მილუოკის" დამდეგ სეზონში აღმოსავლეთში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ეყოლება. გუნდის ღირსებას **მაიკლ რედი, ენდრიუ ბოგუტი**, მეისონი, **ერლ ბოიკინსი, ჩარლი ვილიანოვა** და **ბობი სიმონსი** დაიცავენ.

**ზურაბ თალაკვაძე**



დიდი ბრძოლა

# ჰატონზე მოთხოვნა გაიზარდა

**ოსკარ დე ლა ჰოია** რინგიდან წასვლას ჯერ არ აპირებს. მან ამის თაობაზე მაშინვე განაცხადა, როგორც კი **ფლოიდ მეივეზერთან** მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით წააგო. მაშინ ის თავის ფანებს შეპირდა, ასეთ ბრძოლებს კიდევ გაჩუქებთო. და აი, "ოქროს ბიჭი" თავის შესაძლო მომავალ მეტოქეზე ალაპარაკდა.

მისი შესაძლო მეტოქე შეიძლება ბრიტანელი **რიკი ჰატონი** გახდეს, რომელმაც ახლახანს მექსიკელ **ხოსე ლუის კასტილიოს** ნოკაუტით მოუგო და კიდევ ერთხელ გამოთქვა რომელიმე გრანდთან შეხვედრის მზადყოფნა.

*"რიკი ჰატონი მაგარი ბიჭია. მე პატივს ვცემ მას, როგორც მოკრივესა და მებრძოლს. თუ ჩვენ ბრძოლაზე შევთანხმდებით, ეს კრივის მოყვარულებს აუცილებლად გაახარებს. რატომაც არა, ისინი ხომ კიდევ ერთ დიდ ბრძოლას ნახავენ. რიკი ყოველთვის შეტევაში ეძებს ბედს. მეც ასე ვარ. თუ ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგ დავდგებით და ჩვენ-ჩვენ სტილში ვიბრძოლებთ, ეს მაყურებელს ექსტაზში შეიყვანს. გარწმუნებთ, კრივის მოყვარული ამ ბრძოლას არასოდეს დაივიწყებს"*, - ამბობს დე ლა ჰოია.

"ოქროს ბიჭთან" შეხვედრის პერსპექტივა მოსწონს ჰატონსაც, ვისაც გრანდებთან ბრძოლა სწყურია, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ეს გრანდები (პირველ რიგში, მეივეზერი) თავის ტოლად არ თვლიან და არც თავს უყადრებენ.

*"ჩემთვის დიდი პატივი იქნება რინგზე თანამედროვე კრივის ისეთ ლეგენდასთან ერთად ასვლა, როგორიც ოსკარია. კარგი იქნება, თუ ჩვენ ინგლისში, საფეხბურთო სტადიონზე ვიბრძოლებთ. თუმცა, არც ამერიკის საწინააღმდეგო მაქვს რამე. მთავარია, ჩვენი შეხვედრა შედგეს"*, - ამბობს ჰატონი, ვინც თავისი ბრძოლების უმეტესობას შინ, ინგლისში ატარებს, თუმცა ბოლო ხანს არც ამერიკაში გამოსვლაზე ამბობს უარს.

სწორედ ამერიკაში მისი ბოლო გამოსვლის (კასტილიოსთან გამარჯვება) შემდეგ, ჰატონს, როგორც ფულის კეთების შესანიშნავ საშუალებას, ყურადღება ამერიკის ტელეკომპანიებმაც მიაპყრეს. ესენი არ მალავენ, რომ კარგი იქნება, თუ ამ სეზონის მიწურულს, "ჰიტმენი" როჭოს წონის WBA-ის ჩემპიონ **მიგელ კოტოს** (პუერტო რიკო), ამავე წონის ყოფილ ჩემპიონ **შეინ მოსლის**, ან WBC-ს ჩემპიონ მეივეზერს შეხვდება.

ჩამოთვლილთაგან, ჰატონს ყველაზე მეტად მეივეზერთან შეხვედრა ხიბლავს. *"რა დასამალია, რომ ფლოიდთან შეხვედრაც მსურს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ შევთანხმდებით და ბრძოლას შემოდგომაზე დავნიშნავთ. ამ ეტაპზე, მას მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ (წონის გაუთვალისწინებლად) აღიარებენ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი შემტევი სტილის წყალობით, მის დამარცხებას შევძლებ. მაგრამ თუ ფლოიდი ჩემთან შეხვედრაზე უარს იტყვის, ვიმედოვნებ, რომ ოსკარი ასე არ მოიქცევა"*, - ამბობს ჰატონი.

შეგახსენებთ, რომ დე ლა ჰოიასთან გამარჯვების შემდეგ, მეივეზერმა განაცხადა, კრივიდან მივდივარო. მაგრამ, როგორც კი ჰატონმა გამოიწვია, მაშინვე წასვლა დაივიწყა და გაბრაზებულმა განაცხადა, ამ ინგლისელმა თავი მომაბეზრა. თუ სოლიდურ თანხას შემომთავაზებენ, მზად ვარ, ინგლისში ჩავიდე და იქ გავუსწორდეო.

დე ლა ჰოია იქნება ჰატონის მეტოქე, თუ მეივეზერი, ბრძოლა ორივე შემთხვევაში ალბათ როჭოს წონაში (66.67 კგ) დაინიშნება. ეს კი დაახლოებით სამი კილოთი მეტია იმ წონაზე, რომელში ბრძოლებსაც ჰატონია მიჩვეული და ამდენივეთი ნაკლები იმ წონაზე, რომელშიც ბოლო დროს დე ლა ჰოია იბრძვის.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ჰატონი მალე რომელიმე გრანდს შეხვდება



ტურ დე ფრანსი

# ვინო დოპინგზე დაიჭირეს

გუშინ ცნობილი შეიქნა, რომ დროზე ინდივიდუალური რბოლის შემდგომ ჩატარებულმა დოპინგშემოწმებამ, სისხლის დოპინგზე გამოიჭირა ამ ეტაპის მომგები, ყაზახურ გუნდ "ასტანას" ყაზახი ლიდერი **ალექსანდრ ვინოკუროვი**. ამ ცნობის გამოქვეყნებისთანავე, "ასტანამ" რბოლიდან მთელი გუნდი მოხსნა.

სინჯის შემოწმება პარიზის მახლობლად, შატენე-მალაბრის ლაბორატორიაში ჩატარდა. ვინოკუროვის სისხლის სინჯში ორი სხვადასხვა სახის სისხლის უჯრედები იქნა აღმოჩენილი, რაც პირდაპირი მიმანიშნებელია იმისა, რომ ველომრბოლმა სისხლის ტრანსფუსია უშუალოდ ეტაპის სტარტამდე გამოიყენა.

*"მომხდარზე კომენტირებას მანამ არ ვაპირებ, სანამ მეორე სინჯზე განმეორებითი ტესტი ჩატარდებოდეს"*, - განაცხადა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა **პატრიკ მაკქუეიდმა**.

მომხდარის გამო, სპეციალური პრესკონფერენციის მოწვევას გეგმავენ რბოლის დირექტორი **კრისტიან პრიუდომი** და ტურის ორგანიზატორი "სამყოვარულო სპორტის ორგანიზაციის" (ამაური სპორტს ორგანიზასიონ) პრეზიდენტი **პატრის კლერი**.

შეგახსენებთ, რომ რბოლის დაწყებამდე, 33 წლის ვინო, ვინც შარშან ვუელტას ჩემპიონი გახდა, ტურის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტთაგანი იყო. მაგრამ ასპარეზობის ერთ-ერთ საწყის ეტაპზე, ავარიაში მოხვდა, სადაც ორივე მუხლი დაუზიანდა. ამან კი მის შედეგებზე უარყოფითად იმოქმედა. დროზე რბოლის მოგების შემდეგ, მას ყვითელი მაისურისთვის ბრძოლის შანსი გაუჩნდა, მაგრამ მომდევნო ეტაპზევე, ლიდერებთან ნახევარი საათი წააგო და ეს შანსიც დაკარგა. ამის მიუხედავად, მომდევნო ეტაპი სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა.



ალექსანდრ ვინოკუროვი


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა